



International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 1

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/XV VX4184>



US Support for China's Accession to the World Trade Organization

Mariam khazhomia ^{a1}

^a PhD Student, Caucasus University

ARTICLE INFO

Keywords:

United States
foreign policy
China
World Trade
Organization
(WTO)
WTO accession
Sino-American
relations
International
political economy
Interest groups

ABSTRACT

This study examines the role of the United States in China's accession to the World Trade Organization (WTO) during the 1990s. The primary research question addresses why the United States facilitated China's integration into the WTO despite the country's rapidly growing economic potential and population exceeding one billion. The study is particularly significant given that the decisions made in the 1990s continue to shape Sino-American relations today. Another contribution lies in the fact that, within the Georgian academic context, there is virtually no literature addressing this issue.

The research employs qualitative methods and draws on a diverse set of sources, including government reports, congressional documents, expert interviews, memoirs, official statistics, and media sources. The analysis was conducted using content analysis, discourse analysis, historical analysis, and case study methods. In addition, in-depth interviews were conducted with individuals directly involved in the processes examined in the study.

The findings indicate that U.S. policy toward China was shaped by both domestic and external factors, which influenced the formulation of foreign policy. The main objectives included limiting competing countries' access to the Chinese market, exerting influence over China through its integration into rule-based international organizations, and maintaining U.S. economic supremacy.

This study provides significant insights into the dynamics of Sino-American relations, the complexity of decision-making processes, and the importance of analyzing historical developments for understanding present and future trends.

¹ Corresponding author.

E-mail addresses: mariamimarli95@gmail.com (M.Khazhomia).

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-9993-7756>

აშშ-ის მხარდაჭერა ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში

მარიამ ხაჟომია^{ა2}

^ა დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ	აბსტრაქტი
<i>საკვანძო სიტყვები:</i> აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მსო-ში გაწევრიანება სინო-ამერიკული ურთიერთობები საერთაშორისო პოლიტიკის ეკონომიკა ინტერესთა ჯგუფები	აღნიშნული კვლევა სწავლობს აშშ-ს როლს ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო-ში) გაწევრიანების პროცესში 1990-იან წლებში. ძირითადი კვლევითი კითხვა ეხება იმას, თუ რატომ შეუწყო აშშ-მ ხელი ჩინეთის ინტეგრირებას მსო-ში, ქვეყნის სწრაფად მზარდი ეკონომიკური პოტენციალისა და მილიარდზე მეტი მოსახლეობის მიუხედავად. აღნიშნული საკითხის კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ გარემოების ფონზე, რომ 90-იან წლებში მიღებული გადაწყვეტილება დღემდე განსაზღვრავს სინო-ამერიკულ ურთიერთობებს. მორიგი დამსახურება კი იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ აკადემიურ სივრცეში, აღნიშნული საკითხის ირგვლივ არანაირი ლიტერატურა არ მოიპოვება. კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდებს და მრავალფეროვან წყაროებს: სამთავრობო ანგარიშებს, კონგრესის დოკუმენტებს, ექსპერტების ინტერვიუებს, მემუარებს, ოფიციალურ სტატისტიკასა და მედია წყაროებს. ანალიზი განხორციელდა კონტენტ-ანალიზის, დისკურსული ანალიზის, ისტორიული ანალიზისა და შემთხვევათა შესწავლის საშუალებით. ასევე გამოყენებულ იქნა ჩადრმავებული ინტერვიუ კვლევაში აღწერილ პროცესებში უშუალოდ ჩართულ პირთან. კვლევის მიგნებები მიუთითებს, რომ აშშ-ს პოლიტიკა ჩინეთის მიმართ განიცდიდა შიდასახელმწიფოებრივი და გარე ფაქტორების ზემოქმედებას, რომელთა გავლენის ქვეშ შემუშავდა საგარეო პოლიტიკური კურსი, რომლის უმთავრეს მიზნებს კონკურენტებისთვის ჩინეთის ბაზარზე წვდომის შეზღუდვა, ჩინეთზე ზეგავლენის მოხდენა, მისი წესებზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში გაწევრიანებით და აშშ-ს ეკონომიკური უპირატესობის შენარჩუნება წარმოადგენდა. აღნიშნული ნაშრომი იძლევა მნიშვნელოვან ხედვას სინო-ამერიკული ურთიერთობების დინამიკის, გადაწყვეტილების მიღების კომპლექსურობისა და წარსულის ანალიზის მნიშვნელობაზე აწმყოსა და მომავალში.

² ავტორი კორესპონდენტი.

ელექტრონული ფოსტა: mariamimarli95@gmail.com (მ.ხაჟომია).

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-9993-7756>

1. შესავალი

ბოლო ასწლეულის მანძილზე მსოფლიო წესრიგი არაერთგზის შეიცვალა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მულტიპოლარული მსოფლიო საბჭოთა კავშირის დაარსების შემდეგ ბიპოლარული გახდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები უპირობო ჰეგემონად მოეწივნა მსოფლიოს, არამხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური უპირატესობით, არამედ იდეოლოგიური თვალსაზრისითაც. ვაშინგტონი აქტიურად ცდილობდა სიტყვა თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ მსოფლიოს ოთხივე კიდეში გაეგრძელებინა და თავად ეზრუნა საერთო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მიჯნაზე და შემდგომ, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა, როგორც არის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება, შემდგომში - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, გაერო, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და მრავალი სხვა. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ნელ-ნელა უფრო გამყარდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეპუტაცია, რაც ორგანიზაციების წევრთა რაოდენობის ზრდის პირდაპირპროპორციული იყო. აღნიშნულ ორგანიზაციებში წევრობა გარკვეულწილად მოითხოვდა დათმობებს, ხშირ შემთხვევაში წევრებს ევალებოდათ გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური რეფორმების გატარება, ბაზრის ლიბერალიზაცია, კანონის უზენაესობის აღიარება, გამჭვირვალობა, ანტი-კორუფციული ზომების მიღება და სხვა. ჩამოთვლილი კრიტერიუმები კი სწორედ დემოკრატიის წინაპირობას წარმოადგენს. დასავლურ სამყაროში არსებობდა ემპირიული გამოცდილება იმისა, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან კონფლიქტში არ შედიოდნენ; რომ ეკონომიკური ლიბერალიზაცია თავისთავად გულისხმობდა პოლიტიკურ ლიბერალიზაციას; შესაბამისად, რაც უფრო მეტად შევიდოდა დემოკრატიული ღირებულებები ავტოკრატულ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მსოფლიოში მით უფრო მეტად იქნებოდა გარანტირებული მშვიდობა და სტაბილურობა, რაც აშშ-ის ინტერესის საგანს წარმოადგენდა; თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ თითოეულ წევრ სახელმწიფოსაც აქვს გარკვეული ინტერესი, როდესაც საკუთარი სუვერენიტეტის ხარჯზე, თანხმობას აცხადებს გაწევრიანდეს დაწესებულებაში, რომელიც არაერთ ვალდებულებას დააკისრებს მას. მაშასადამე, წევრობის მსურველთათვის სარგებელი აღემატება იმ მსხვერპლს, რომლის გაღებაც უწევთ მათ. საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობა გულისხმობს არაერთ უპირატესობას, როგორც არის კოლექტიური ძალა, გლობალურ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში აქტიური მონაწილეობა, მრავალი ეკონომიკური სარგებელი, როგორც არის საერთაშორისო ბაზარზე წვდომა, სესხის აღება, დავის მოგვარების მექანიზმები, უსაფრთხოების გარანტიები და სხვა. თუმცა, მიღებული

სარგებლის მასშტაბები დამოკიდებული არის თვითონ ქვეყნის შესაძლებლობასა და უნარზე სრულფასოვნად აითვისოს ორგანიზაციის მიერ მინიჭებული სიკეთეები.

ახალი საუკუნის დასაწყისიდან არაერთი პოლუსი გაჩნდა აშშ-ს გვერდით მსოფლიო არენაზე, მათ შორის ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია და ა.შ. თუმცა დღესდღეობით ვაშინგტონის ყველაზე დიდ გამოწვევას ჩინეთი წარმოადგენს, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. ყველაზე მაღალი მშპ-ს მქონე ქვეყნების სიაში ის დღესდღეობით მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება. ჩინეთი გახდა ეკონომიკური გიგანტი და ბოლო წლებში მან აქტიურად დაიწყო ეკონომიკური ბერკეტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ძნელია იპოვო კონტინენტი, რომელსაც ჩინეთის ინვესტიციები არ შეეხო, მათ შორის აფრიკა, ლათინური ამერიკა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და არქტიკაც კი. წარმოუდგენლად უხვი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით, გონივრული დიპლომატიით და ნეიტრალური ხასიათით ჩინეთი ყველა კარს აღებს. ქვეყანა მიზნად ისახავს განახორციელოს ეკონომიკური გეგმა, რომელიც „ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივით“ არის ცნობილი. ასევე, იგეგმება საზღვაო აბრეშუმის გზის განვითარებაც. მიუხედავად გამუდმებული მტკიცებებისა რიგი ექსპერტებისა და ჩინეთის მთავრობის მხრიდან, ამერიკისთვის ჩინეთის მშვიდობიანი განვითარების ცნება უბრალოდ არ არსებობს. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული დაზვერვის დირექტორმა - დენ კოუტსმა, 2019 წელს აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტის წინაშე ღიად განაცხადა: 'სანამ ჩვენ გვეძინა თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩინეთს ჰქონდა განსაცვიფრებელი მიღწევები (Mitch, 2019); ძილში კოუტსმა ხაზი გაუსვა აშშ-ს უმოქმედობას და ჩინეთთან მიმართებით მეტი სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობისკენ მოუწოდა სენატს. მართლაც, დღესდღეობით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სიტყვითაც და საქმითაც ამტკიცებს, რომ პრეტენზიას აცხადებს გახდეს პირველი სახელმწიფო მსოფლიოში, რაც ირიბად არაერთგზის გაჟღერებულა ჩინეთის მმართველ პარტიაში (Cole, 2018).

ზემოხსენებული გამოწვევებისა და რისკების მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატები იღებს პარადოქსულ გადაწყვეტილებას. მოლაპარაკებების სერიების შემდეგ, 2001 წელს, აშშ ჩინეთს უღებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარს და ჩინეთი ხდება ორგანიზაციის რიგით 143-ე წევრი. მართალია, თეორიულად აშშ ორგანიზაციის ერთ-ერთი რიგითი წევრია, თუმცა, გამომდინარე იმ ეკონომიკური ძალაუფლებიდან, რომელიც აშშ-ს გააჩნია სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამერიკის როლი უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმ 37 ქვეყანას შორის, რომლებთანაც პეკინს ორმხრივი მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა მსო-ში ინტეგრაციის წინაპირობებთან დაკავშირებით, აშშ დომინანტ ძალას წარმოადგენდა მისი სტატუსის, ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი ეკონომიკური წვლილის, შიდა ბაზრის მასშტაბების და იმ გავლენების საფუძველზე, რომელიც სხვა წევრ ქვეყნებზე გააჩნდა. ჩინეთის მსო-ში გაწევრიანების მთავარი

მომლაპარაკებლები აღნიშნავდნენ, რომ აშშ-სთან შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ისინი შეეცდებოდნენ მხარდაჭერა ევროპული სახელმწიფოებისგან მიეღოთ, თუმცა, მათდა გასაკვირად, ევროპის ქვეყნებს ჰქონდათ ერთი და იგივე შეკითხვა მოლაპარაკებების დაწყებამდე - რას ამბობს ამერიკის შეერთებული შტატები? - რამაც ისინი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ აშშ-ს აბსოლუტურად წამყვანი როლი ჰქონდა ჩინეთის ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესში (World Trade Organization, 2013). შესაბამისად, მართალია, თეორიულად მხოლოდ აშშ-ს არ ხელეწიფებოდა ჩინეთისთვის ორგანიზაციის წევრობის მინიჭება, თუმცა, პრაქტიკულად, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც თითო-ორი პირობა ჰქონდათ, სწორედ ვაშინგტონის მოთხოვნების დაკმაყოფილება წარმოადგენდა გამოწვევას ჩინეთისთვის; მოთხოვნების, რომლებიც სოლიდური რაოდენობით იყო წარმოდგენილი და ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური დატვირთვის გამო საკმაოდ კომპლექსურ დავალებას წარმოადგენდა შესასრულებლად (Hui, 2006).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, თავისი გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, დიდ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში. ორგანიზაციის მთავარი ფუნქციები მდგომარეობს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაში, ქვეყნებს შორის ეკონომიკური დავების მოგვარების სამართლიანი მექანიზმის დანერგვაში, ლიბერალიზაციის პროცესის ხელშეწყობაში და საბაჟო კავშირის დაარსებაში, რაც გულისხმობს მესამე ქვეყნების მიმართ ერთიანი საბაჟო პოლიტიკის გატარებას. მაშასადამე, განვითარებადი ქვეყნებისათვის ორგანიზაციის წევრობა არის საკმაოდ მომგებიანი შესაძლებლობა. სწორედ ამ შესაძლებლობის წყალობით 2009 წლიდან, აზიაში მწვავე ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ჩინეთი გახდა მსოფლიოში პირველი ექსპორტიორი ქვეყანა და მან გადაუსწრო აშშ-ს, რომელსაც 2008 წელს ეკავა პირველი ადგილი მსოფლიო ექსპორტიორთა სიაში. მსოფლიო ბანკის 2023 წლის მონაცემებით კი იგი კვლავ ინარჩუნებს პირველობას (Council on Foreign Relations, 2025).

საერთაშორისო ურთიერთობების დარგში გავრცელებული პოპულარული მოსაზრების თანხმად, ჩინეთის სწრაფი ზრდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პირდაპირპროპორციული იყო, რასაც ხშირად ახასიათებენ, როგორც წყალგამყოფ ეტაპს გლობალურ პოლიტიკაში. თუმცა, ეს მოსალოდნელიც იყო. ჩინეთის სწრაფი ზრდა ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იქცევდა არაერთი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის ყურადღებას, რომლებიც ღიად წერდნენ მოსალოდნელ შედეგებზე და იმაზე, თუ რა საფრთხე შეიძლებოდა შეექმნა ჩინეთს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისთვის და მისი უპირატესობისთვის აზიის რეგიონში და არა მხოლოდ. მაგალითად, ფრენსის ფუკუიამა თავის წიგნში - *The End of History and the Last Man* (1992), სადაც ავითარებს თეზისს მსოფლიოში მმართველობის საბოლოო ფორმაზე, რომელიც, მისი აზრით, იქნება ლიბერალური დემოკრატია, ჩინეთს დიდ გამოწვევად სახავს.

ანალოგიურად, სემუელ ჰანტინგტონის 1993 წლის სტატიაში *The Clash of Civilizations*, რომელიც სამი წლის შემდეგ გამოიცა წიგნის სახით, ჩინეთი მოხსენიებულია, როგორც რეალური საფრთხე დასავლეთისთვის. უფრო კონკრეტულად, ჰანტინგტონი ამბობს, რომ ჩინეთი არის სწრაფად მზარდი ძალა, რომელმაც შესაძლოა არადასავლელი მოკავშირეები გაიჩინოს ისლამური სახელმწიფოს ან რუსეთის სახით; რომ პეკინს გააჩნია პოტენციური გახდეს მდიდარი და ძლიერი სახელმწიფო ლიბერალური დემოკრატიის გარეშე, რითაც ჰანტინგტონმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მოსაზრება, რომელიც აქსიომად იყო აღიარებული და განაცხადა, რომ 'მოდერნიზაცია ყოველთვის არ გულისხმობს ვესტერნიზაციას'. აქედან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს იკვლიოს პასუხები შემდეგ კითხვაზე:

საკვლევი კითხვა: რატომ შეუწყო აშშ-მ ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ხელი?

მაშასადამე, აღნიშნული კვლევის მიზანი მდგომარეობს იმ ფაქტორების შესწავლაში, რომლებმაც გავლენა მოახდინეს აშშ-ის გადაწყვეტილებაზე ხელი შეეწყო ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ინტეგრირების პროცესისთვის მიუხედავად იმ პოტენციალისა, რომელიც ჩინეთს ჯერ კიდევ 90-იან წლებში გააჩნდა, როგორც სწრაფად მზარდ ეკონომიკას და ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოს.

1.1. კვლევის აქტუალურობა

გამომდინარე იქიდან, რომ სუპერსახელმწიფოები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საერთაშორისო წესრიგს, მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგები პირდაპირ თუ ირიბად ასახავს პოვნებს თითოეული ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც 2001 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მეტწილად აშშ-ის მიერ იყო წახალისებული და მხარდაჭერილი, გრძელვადიანი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური შედეგების მქონე აღმოჩნდა და დღესაც განსაზღვრავს მსოფლიო ვაჭრობის ტენდენციებს. მაგალითისათვის, 2018-2020 წლებში ტრამპის პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს აშშ-ს ადმინისტრაციამ სავაჭრო ომი ჩინეთთან ოფიციალურად გამოაცხადა. შესაბამისად, თანამედროვე სავაჭრო კონფლიქტებისა და სინო-ამერიკული კონკურენციის უკეთ გასაგებად, აუცილებელი არის თვალის მიდევნება სინო-ამერიკული ურთიერთობების ფორმირების ეტაპებზე. აშშ-ს ყველაზე ძლიერი მეტოქე, რომელმაც არადემოკრატიული რეჟიმის მიუხედავად, მსოფლიოში უკონკურენტო ეკონომიკური მოდელი შექნა, დღეს აქტიურად ცდილობს ისეთ სუპერსახელმწიფოებთან დაამყაროს სტრატეგიული პარტნიორობა, როგორიც არის რუსეთი და სამხედრო თანამშრომლობა ისეთ ძალებთან, როგორიც არის ირანი და პაკისტანი. ცხადია, ხსენებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა დიდ გამოწვევას წარმოადგენს დასავლეთისთვის,

განსაკუთრებით კი შეერთებული შტატებისთვის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია უახლოესი წარსულიდან ავიღოთ მაგალითი, კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ დასავლეთის მიერ დაკისრებული მძიმე სანქციების მიუხედავად რუსეთმა მარტივად შეძლო ეკონომიკური კრიზისის თავიდან არიდება, რაც, მეტწილად ჩინეთის მხარდაჭერით მოახერხა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომ არა ჩინეთის მხარდაჭერა, აშშ-ს მეტი ბერკეტი ექნებოდა რუსეთისთვის პირობების წასაყენებლად და სასურველი მიზნის მისაღწევად. ჩინეთი თავის მხრივ ცდილობს ტაივანზე მაქსიმალური ზეწოლა განახორციელოს და აზიის რეგიონში უპირობო ჰეგემონია მოიპოვოს, თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, რადგან პეკინი დღეს ცალსახად მიისწრაფვის თავისი ბაზრით მიწვდეს მსოფლიოს ყველა კუთხეს და კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს, იქნება ეს ევროპის რეგიონი, აფრიკა თუ ყინულოვანი არქტიკის რეგიონი. აქედან გამომდინარე, ერთგვარ თავსატეხს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აშშ - მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, როგორც ეკონომიკურად, ისე სამხედრო თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით, ხელს უწყობს სოციალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყანას, ჩინეთს, რომლის მოსახლეობა მილიარდს აღემატება, გაწევრიანდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელიც ცალსახად შეუწყობს ხელს მის ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც ისედაც თვალშისაცემი ტემპით მიმდინარეობდა 90-იან წლებში. ზემოხსენებულ თავსატეხს კიდევ უფრო მეტ ინტერესს სძენს ის გარემოება, რომ აშშ-ს გამორჩეულად დიდი გავლენები აქვს ორგანიზაციაში და უშუალოდ მისი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის სტატუსი (MFN) ერთგვარ მწვანე ბარათს წარმოადგენს ნებისმიერი წევრობის მსურველი ქვეყნისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს გააჩნდა ძალაუფლება არათუ ხელი არ შეეწყო, არამედ ხელოვნურად შეექმნა ბარიერები და შეეფერხებინა ჩინეთის გაწევრიანება სავაჭრო ჰაბში, რასაც ხშირად ამტკიცებენ თავდასხმითი რეალიზმის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ჯონ მერშაიმერი. შესაბამისად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ჩინეთთან მიმართებით 1990-2001 წლებში სამეცნიერო შესწავლას საჭიროებს. კვლევის მიზანი სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების მაპროვოცირებელი ფაქტორების ამოხსნაში მდგომარეობს.

ის ფაქტი, რომ ქართულ აკადემიურ სივრცეში აღნიშნული საკითხის ქართულ ენაზე კვლევა აქამდე არ არის წარმოებული, ნაშრომს კიდევ უფრო ღირებულს ხდის ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, საკითხის შესწავლა სხვადასხვა თეორიის ჭრილში და ანალიზის სამივე დონეზე მეტ დამსახურებას სძენს ნაშრომს. კვლევის ორიგინალურობა მდგომარეობს იმაშიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სინო-ამერიკული ურთიერთობები არაერთი პრიზმიდან მრავალგზის არის შესწავლილი, საკითხის ამგვარი დასმა - რატომ მოხდა აშშ-ს მხრიდან ჩინეთის ხელშეწყობა გაწევრიანებულიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ნაკლებად გამოკვლეული საკითხების ნუსხაში შეიძლება კატეგორიზდეს. კვლევის მიგნებები დამატებით წვლილს შეიტანს იმ ქართველი და საერთაშორისო მკვლევარების საქმიანობაში, რომლებიც სინო-ამერიკული

ურთიერთობების კვლევით დაინტერესებას გამოხატავენ, რადგან მათ შესაძლებლობა მიეცემათ არაერთ ფასეულ წყაროს გაეცნონ, როგორც კონცეპტუალური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამავდროულად, ნაშრომი ყველა დაინტერესებულ პირს აუმაღლებს ცნობიერებას იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს რეალურად გადაწყვეტილების მიღების პროცესი მმართველ ორგანოებში, რამდენად კომპლექსური არის იგი, რამდენი დამოუკიდებელი ცვლადი შეიძლება გავლენას ახდენდეს პროცესზე და ბოლოს, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს წარსულის სიღრმისეული შესწავლა აწმყოს უკეთ აღსაქმელად და სწორი სამომავლო პროგნოზების გასაკეთებლად.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

პოლიტიკური ან ეკონომიკური პროცესების სრულფასოვანი გაანალიზება შეუძლებელია უფრო ფართო სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კონტექსტში მათი განთავსების გარეშე - სწორედ ეს პრინციპი დევს რობერტ გილპინის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის თეორიის ფუნდამენტში. გილპინის შეფასებით, 1980-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკამ გარდამტეხი რევოლუცია გადაიტანა, რომლის ცენტრშიც დადგნენ მულტინაციონალური კომპანიები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპრეცედენტო ზრდა. ამ პროცესმა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა სულ უფრო მჭიდროდ დაუკავშირა გლობალურ ბაზარს და სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა ტრანსნაციონალური ძალების გავლენის ქვეშ მოაქცია (Gilpin, 2001, p.17).

1990-იან წლებში გლობალურმა ეკონომიკამ ახალი სტრუქტურული რეორგანიზაცია განიცადა: როგორც გილპინი აღნიშნავს, მსოფლიო ინდუსტრიის გეოგრაფია არსებითად შეიცვალა. თუ მანამდე ინდუსტრიის ბირთვს ძირითადად აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონია წარმოადგენდა, ახალმა საერთაშორისო შრომის დანაწილებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა აზიის, ლათინური ამერიკისა და სხვა განვითარებადი ეკონომიკების როლი. ამ გარდატეხაში განსაკუთრებულად გამოკვეთილი გახდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც არა მხოლოდ წარმოების, არამედ გლობალური ეკონომიკური ძალაუფლების ერთ-ერთ მთავარ ეპიცენტრად ჩამოყალიბდა (Gilpin, 2001, p.10).

ამგვარად, არსებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი გილპინის ანალიზი, გვთავაზობს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა და მისი ინტეგრაცია გლობალურ სისტემაში არ დავინახოთ მხოლოდ ორმხრივი ან რეგიონული ურთიერთობების კრილში, არამედ მივიჩნიოთ გლობალური ეკონომიკური რესტრუქტურირების ნაწილად.

რობერტ გილპინი თავის ნაშრომში - გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა: საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გააზრება - ავითარებს საინტერესო მოსაზრებას

იმის თაობაზე, თუ რა მჭიდროდ არის ეკონომიკა ინტეგრირებული სოციოპოლიტიკურ სისტემებში, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ხასიათს. გილპინი ემიჯნება ეკონომისტებში საკმაოდ პოპულარულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური საქმიანობა უნივერსალური ხასიათის არის და ამტკიცებს, რომ, როგორც მთავრობა, ისე სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივი ინტერესთა ჯგუფები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ იმ პარამეტრებს, რომლებიც კონკრეტულ მიზანს უსახავს თითოეული ქვეყნის ეკონომიკას, რითაც მნიშვნელოვნად განასხვავებს მას სხვა ქვეყნის ეკონომიკური სპეციფიკისგან. ის, რაც უსამართლო პრაქტიკა არის აშშ-ში, შეიძლება სრულიად გამართლებული იყო აზიის ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკელები თვლიან, რომ კონკურენცია, რომელსაც აზიის დაბალანაზღაურებადი მუშახელი ქმნის, უსამართლოა, ხოლო აზიის ქვეყნები ამტკიცებენ, რომ სწორედ იაფ მუშახელში მდგომარეობს აზიის ქვეყნების ფარდობითი უპირატესობა. დასავლური ქვეყნები მეტად ორიენტირებულნი არიან ინდივიდუალური მომხმარებლის კმაყოფილებაზე, აზიის ქვეყნებს კი საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე უფრო მეტი გათვლა აქვთ. მაშასადამე, ყველა საზოგადოებას გააჩნია ღირებულებები, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობას, რაც, ხშირად ქვეყნებს შორის უთანხმოების მიზეზიც ხდება ხოლმე (Gilpin, 2001, pp. 41-42).

1990-იან წლებში, როდესაც დასავლეთ ევროპას უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდა ჰქონდა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, იაპონია კი ეკონომიკურ რეცესიას განიცდიდა, აშშ-ს საკმაოდ სტაბილური პოზიცია ეკავა სოლიდური ეკონომიკური პროგრესის მაჩვენებლითა და დასაქმების მაღალი დონით. შესაბამისად, ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ აშშ უნდა გამხდარიყო მაგალითი სხვა სახელმწიფოებისთვის და წარმატების მისაღწევად სწორედ მისთვის უნდა მიებაძათ სხვა ქვეყნებს (Gilpin, 2001, p. 178). საგულისხმო არის ის გარემოებაც, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში საკმაოდ პოპულარული იყო მოსაზრება, რომ მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეეძლოთ ეკონომიკური აყვავება. მაგალითად, ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომებში - „უკანასკნელი ადამიანი“ და „ისტორიის დასასრული“ - რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში შექმნა, ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ლიბერალურ დემოკრატიებთან შერწყმულ თავისუფალ ბაზარს შეეძლო ქვეყნისთვის მზარდი ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის მოტანა. ფუკუიამას თანახმად, სხვა ქვეყნებიც თუ მიბაძავდნენ დასავლეთს, მათში მშვიდობა დაისადგურებდა და ზრდისა და განვითარების მეტი პერსპექტივა ექნებოდათ, რადგან სწორედ ლიბერალური დემოკრატია მიაჩნდა დასავლური სახელმწიფოების წარმატების საიდუმლოდ (Jackson and Xidias, 2017). ანალოგიურად, ჯონ იკენბერი თავის ნაშრომში - „გამარჯვების შემდეგ“ - ხაზს უსვამს სახელმწიფო წყობის ფაქტორს, აშშ-ს მაგალითზე, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ წინსვლას (Ikenberry, 2001).

მორიგ კონცეპტუალურ ნაშრომს წარმოადგენს ჯეიმს მანის პუბლიკაცია - *About Face* - რომელიც ამარტივებს წარსულში მომხდარი მოვლენების კონტექსტუალურ და სიღრმისეულ ანალიზს. 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენების უკეთ აღსაქმელად, ჯეიმს მანი სულ მცირე ორი ათწლეულით ადრე იწყებს ორი ქვეყნის ურთიერთობების შესწავლას. 1989 წლამდე აშშ მონდომებით ცდილობდა ჩინეთისთვის დახმარება გაეწია, რაც საიდუმლო შეიარაღებისა და ტექნოლოგიების მიწოდებას უზრუნველყოფდა. საინტერესოა ის გარემოება, რომლის თანახმად MFN პრივილეგიების მინიჭება 70-იან წლებში თავდაპირველად საბჭოთა კავშირისთვის იგეგმებოდა, ათწლეულის დასასრულს კი ჩინეთს მიანიჭეს, სსრკ-ს კი არა. მანის ნაშრომის განსაკუთრებული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი სრულად დაფუძნებულია საარქივო მასალებზე და უშუალოდ პირველი, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირებისგან აღებულ ინტერვიუებზე, რაც კარგად იკვეთება ნაშრომში; კერძოდ, ჯეიმს მანი ლაკონურად აღწერს და მიზანმიმართულად ამახვილებს ყურადღებას ყველა საკვანძო მომენტზე სინო-ამერიკულ ურთიერთობებში და ზედმიწევნით, შეიძლება ითქვას განსაკუთრებული ნიჭით გადმოსცემს აშშ-ს სხვადასხვა ადმინისტრაციის ამბივალენტურ ხასიათს, მათ რეაგირებას ფორს-მაჟორულ სიტუაციებზე და საგულდაგულოდ გაკეთებულ სამომავლო გათვლებს თავისი სიბრძნითა თუ გადაცდომებით. ნაშრომის მორიგ დამსახურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საკმაოდ რეალისტურად არის აღწერილი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანოების ურთიერთქმედება: პრეზიდენტი, სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტი, კონგრესი, აშშ-ს საელჩო პეკინში, ცენტრალური სადაზვერვო სამსახური, ეკონომიკურ და სავაჭრო საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეები, ბრიტანეთის მთავრობა ჰონგ-კონგში, ადამიანის უფლებათა დამცველები, პროფკავშირები, რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები, აზიელი ბიზნეს ლიდერები და სხვა. ასევე მანს საინტერესოდ აქვს წარმოჩენილი კონგრესის როლი, რომელიც სულაც არ არის პასიური და ბიუროკრატიული საკითხებზე ორიენტირებული მხოლოდ, არამედ როგორც ძალა, რომელსაც შეუძლია ძლიერად დაუჭიროს მხარი გარკვეულ ინიციატივებს (Mann, 1999, pp. 339-363). აღნიშნული სახელმძღვანელო იმ კატეგორიის ლიტერატურას მიეკუთვნება, რომელიც ერთგვარ ბაზას ქმნის მკვლევარისათვის შეისწავლოს ესა თუ ის ეპოქა და ლიდერთა უნიკალური თავისებურებები; ისეთი მნიშვნელოვანი თავისებურებები, რომელსაც სხვა ლიტერატურულ წყაროში ნაკლებად შეხვდება მკვლევარი.

ნაშრომში ასევე ციტირებულია დეივიდ ლამპტონის სტატიები და ნაშრომები, რომლებიც ერთგვარ პირველწყაროს წარმოადგენს მათი განუზომლად მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გარდა ამისა, კვლევის საწარმოებლად დეტალურად არის შესწავლილი გრიფით საიდუმლო მასალა კლინტონის მივლინებებთან თუ საიდუმლო მიმოწერასთან დაკავშირებით, ისევე

როგორ პირველ პირთა მემუარები. კვლევის მიგნებების დაზუსტებასა და განმტკიცებაში დიდი წვლილი შეიტანა კონგრესის სესიებზე გაჟღერებულმა ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტებმა.

3. მასალები და მეთოდები

საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას და მნიშვნელოვნად ეყრდნობა თემის ირგვლივ არსებულ სხვადასხვა პირველწყაროებსა და სანდო მეორეულ წყაროებს. კვლევა ემპირიულია იმდენად, რამდენადაც იგი ეფუძნება სამთავრობო ანგარიშებს, თემასთან რელევანტურ პირთა ინტერვიუს ტრანსკრიპტებს, პოლიტიკის მეცნიერთა ნააზრევს, აღიარებულ და სანდო მედია წყაროებს, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, აკადემიურ სტატიებსა და წიგნებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მემუარებს და კონგრესის სამიტების სიღრმისეულ ანალიზს. ასევე აღსანიშნავია ურუგვაის რაუნდში მონაწილე ბ-ნ ამირან კავაძესთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც ეროვნულ დონეზე მიღებულ პირველწყაროდ შეიძლება ჩაითვალოს, რაც ნაშრომისთვის გამორჩეულად ღირებულია.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის საგანი მოქცეულია 90-იანი და 2000-იანი წლების პერიოდის ჩარჩოში, ნაშრომში დიდი წილი უჭირავს საიდუმლოების გრიფის მქონე დოკუმენტების (რომლებიც დღეს აღარ წარმოადგენს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას) და საარქივო მასალის ანალიზს, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ზემოხსენებული თემასთან დაკავშირებული წყაროების შერჩევა მოხდა ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით როგორიც არის სანდოობა და აკადემიური ავტორიტეტი, რაც მეტად უზრუნველყოფს ნაშრომის ვალიდურობას. აღნიშნული წყაროების კვლევა მოხდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით: კონტენტ-ანალიზი, დისკურს-ანალიზი, თემატური კოდის გამოყენება, დოკუმენტის ანალიზი, ისტორიული ანალიზი, პროცესზე თვალის მიდევნების მეთოდი, ცალკეულ შემთხვევათა ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი, საარქივო კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან. აღსანიშნავია, რომ კვლევა განხორციელდა აკადემიური კეთილსინდისიერების გათვალისწინებით და ყველა ეთიკური სტანდარტის დაცვით, მათ შორის რესპოდენტთა ინფორმირებული თანხმობით.

3.1. თეორიული ჩარჩო - ნეოკლასიკური რეალიზმი

კლინტონის ადმინისტრაციისთვის ჩინეთის მსო-ში ინტეგრირების გადაწყვეტილებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა და დროის სხვადასხვა მონაკვეთში პოლიტიკურმა ელიტამ არაერთხელ შეიცვალა პოზიცია, რაც გამოიხატებოდა პოლიტიკური ტონის გამკაცრებით

თუ შერბილებით, ურთიერთსაწინააღმდეგო ზომების გატარებით და პარადოქსული რიტორიკით. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით აშშ-ის ლიდერის გადაწყვეტილებების სერიაში სამი ეტაპის გამოყოფა არის შესაძლებელი: 1992-1994, 1994-1996 და 1996-2000 წლები. გადაწყვეტილებათა რადიკალური ცვლილებიდან გამომდინარე, საკითხის დეტალური ახსნის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო გახდა არაერთი თეორიის გამოყენება: ინსტრუმენტალური ლიბერალიზმი, ნეოკლასიკური რეალიზმი, ლობიზმისა და ინტერესთა ჯგუფების თეორია.

1992-1994 წლებში კლინტონი ჯერ კიდევ თეთრი სახლის დაკავებამდე არსებული იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა, რაც გულისხმობდა ჩინეთის მიმართ მკაცრი და მომთხოვნი პოლიტიკის გატარებას, რითაც ის მიზნად ისახავდა მოეპოვებინა კონგრესის ნდობა და გამხდარიყო სანიმუშო ლიდერი. კლინტონის ამგვარი მიდგომის ყველაზე ობიექტურ ახსნას გვთავაზობს ნეოკლასიკური რეალიზმი, რომელიც სისტემურ ზეწოლასთან ერთად ლიდერის აღქმებს და ინტერპრეტაციებს სოლიდურ მნიშვნელობას ანიჭებს. 1994 წელს კლინტონი დგება ფაქტის წინაშე და ევალუა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება ჩინეთისთვის MFN სტატუსის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, რაც ქვეყნის პირველ პირს აიძულებს მეტი ყურადღება დაუთმოს ჩინეთის საკითხს და სტრატეგიული ზომები მიიღოს. შესაბამისად, 1992-1994 წლებში გატარებული პოლიტიკა თუ პრეზიდენტის კაბინეტის წარმომადგენელთა რიტორიკა ხასიათდება ინსტრუმენტალური ლიბერალიზმით. აღნიშნული კოლოკაცია საერთაშორისო ურთიერთობებში გულისხმობს ლიბერალურ მანტრას, რომლის მიღმა რეალიზმის მოტივები დგას. ინსტრუმენტალური ლიბერალიზმი, როგორც კონცეფცია, ასოცირდება ფრიდრიხ ჰაიეკთან, რომელიც თავის არაერთ ნაშრომში ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლიბერალიზმის იდეამ გაამართლა იმიტომ, რომ როგორც ინსტრუმენტმა კარგად იმუშავა სხვადასხვა, ხშირად გამართლებული და დემოკრატიული, შედეგების მისაღწევად. რაც შეეხება თავად ტერმინს - ინსტრუმენტალურ ლიბერალიზმს - ვხვდებით თეორეტიკოს როლანდ კლეის ნაშრომში - „ჰაიეკის სოციალური და პოლიტიკური ნააზრევო“, სადაც ავტორი ჰაიეკის ლიბერალიზმს ინსტრუმენტალურს უწოდებს, რადგან ჰაიეკი ლიბერალიზმს მიიჩნევს არა როგორც არსობრივად მორალურ, წმინდა დოქტრინას, არამედ როგორც საშუალებას მიზნის მისაღწევად (Foulkes, 1996); მაგალითად, ჰაიეკი ამბობს: „თავისუფლება, რომელსაც გაძლევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე წინასწარ იციან, რომ ის სარგებელს მოიტანს, არსობრივად არ არის თავისუფლება“. ჰაიეკის ფილოსოფია დაფიქრებას და ჩაღრმავებას საჭიროებს. თავის ერთ-ერთ ნაშრომში - “გზა ბატონყმობისკენ” - ჰაიეკი საუბრობს ლიბერალიზმის მორიგ მონაპოვარზე - კერძო საკუთრებაზე და ამბობს, რომ კერძო საკუთრება ნიშნავს იმას, რომ ადამიანი საკუთარ ქონებაზე გაცილებით უფრო მეტად ზრუნავს, ვიდრე სახელმწიფო. შესაბამისად, კერძო საკუთრების ფლობის შესახებ ნებართვა ასარგებლებს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ

მთლიან საზოგადოებასაც (Hayek, 1945). მაშასადამე, ლიბერალიზმი გვევლინება არა მიზნად, არამედ მისი მიღწევის საშუალებად; მეტი სიცხადისთვის, ის რომ იყოს მიზანი, მოტივი იქნებოდა ინდივიდთა კეთილდღეობა და თავისუფლება. ცხადია, ასეთი მიდგომა მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული ლიბერალიზმისგან, რომელიც ამბობს, რომ მიზნებიც და საშუალებებიც ლიბერალურ ღირებულებებს ეფუძნება და არამც და არამც არ გამოიყენება საშუალებად სარგებლის მისაღებად.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 1992-1994 წლებში კლინტონი ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა ჩინეთის საკითხით, რაც ყველაზე კარგად ნეოკლასიკური რეალიზმის ჩარჩოთი შეიძლება აიხსნას, რომელიც, სისტემურ საფრთხესთან ერთად ლიდერისა და შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური ელიტის აღქმებს იღებს მხედველობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი იყო პოტენციური საფრთხე აშშ-ისთვის, ვაშინგტონი ახლო პერსპექტივაში არ განიხილავდა უსიამოვნო მოულოდნელობებს. გამომდინარე იქიდან, რომ სისტემური, პოტენციური საფრთხე დაუყოვნებელ რეაგირებას არ საჭიროებდა თავისი მოცემულობის მიხედვით, კლინტონი შიდა პოლიტიკით უფრო ხელმძღვანელობდა. კერძოდ, მას ჰქონდა სწრაფვა დაუყოვნებლივ გამოევიდნა ლიდერის უნარები და, ბუშისგან განსხვავებით, მისაბამი ერთსულოვნება ჰქონდა აშშ-ს კონგრესის ყველაზე პრობლემურ წარმომადგენლებთანაც კი. მაშასადამე, სისტემური გამოწვევის საშინაო პრიორიტეტებით გაფილტრვის და რეალური საფრთხეების ინდივიდუალური ინტერპრეტაციების შესახებ სრულყოფილ განმარტებას სწორედ ნეოკლასიკური რეალიზმი გვთავაზობს.

გიდეონ როუზის მიერ სახელდებული კიდევ ერთი თეორიის - ნეოკლასიკური რეალიზმის გამოყოფა და მისი დამკვიდრება რეალიზმის სხვა ქვეთეორიების გვერდზე, განაპირობა რეალიზმის არსებული თეორიების უუნარობამ სრულყოფილად აეხსნა გლობალური გადაწყვეტილებები და მოვლენები. ჟურნალ *World Politics*-ის 1998 წლის ერთ-ერთ გამოცემაში როუზი საუბრობს ნეოკლასიკური რეალიზმის არსზე. აღნიშნული ნაშრომის განსაკუთრებული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავს უყრის როუზის წინამორბედთა თუ მის თანამედროვეთა ნააზრევს, სადაც პოლიტიკის ექსპერტები ნეოკლასიკური რეალიზმის იდეოლოგიას ხსნიან და ასაბუთებენ სხვადასხვა ემპირიული მასალით.

როუზი ადარებს ნეოკლასიკურ რეალიზმს სხვა მომიჯნავე თეორიებს, რათა უფრო ეფექტურად წარმოაჩინოს თეორიის ღირსებები. მაგალითად, ნეორეალიზმს სწორება აქვს სისტემურ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორია, რიგ შემთხვევებში, ითვალისწინებს კონკრეტული ქვეყნის მოტივებს, ეს უკანასკნელი მეტად ზოგადი ხასიათისაა და დეტალურად ვერ ასახავს რით არის განპირობებული ქვეყნების კონკრეტული ქცევა. ნეორეალიზმი კარგი ინსტრუმენტი არის სისტემიდან წამოსული

ზეწოლის ასახსნელად, მაგრამ თვალსაწიერს მიღმა რჩება როგორ რეაგირებენ სისტემის აქტორები გარე ცვლილებებზე და რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველა სახელმწიფო ერთნაირად პასუხობს სისტემიდან წამოსულ სიგნალებს, რაც, როუზის აზრით, რეალობას არ შეესაბამება (Rose, 1998).

ხოლო ნეოკლასიკური რეალიზმი აერთიანებს როგორც გარე, ისე შიდა ცვლადებს და საკითხის განხილვას ანალიზის სხვადასხვა დონეების კომბინაციით გვთავაზობს, რაც, სინგერის თანახმად, მისასაღებელი პრაქტიკა არის. დევიდ სინგერი თავის ნაშრომში *‘ანალიზის დონეების გამოწვევა საერთაშორისო ურთიერთობებში’* ამბობს, რომ ანალიზის სხვადასხვა დონის კომბინაცია რეკომენდირებულია, რადგან ცალკეული დონეები სრულფასოვან კონტექსტს არ იძლევა. ერთი მხრივ, სისტემურ თეორიებს უჭირთ ქვეყნის პირველი პირის მოულოდნელი გადაწყვეტილებების ახსნა, მეორე მხრივ, თეორიებში, რომლებიც შიდა პოლიტიკას ანიჭებენ დომინანტურ როლს, გვხვდება დამაბნეველად ბევრი ცვლადი, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, ეკონომიკური თუ სხვა. გარდა ამისა, მსგავს თეორიებს განზოგადების უნარი ნაკლებად აქვთ, შესაბამისად მათ უჭირთ გარე ცვლადებში იპოვონ ამხსნელი ფაქტორები და მეტისმეტად დავიწროებული აქვთ ხედვა შიდა საკითხებით. აქედან გამომდინარე, სინგერი მიზანშეწონილად მიიჩნევს საკითხის სხვადასხვა დონეზე შესწავლას და უფრო მეტიც, წახალისებს ამგვარ პრაქტიკას (Singer, 1961).

ანალიზის პირველ - სისტემურ დონეზე, ნაშრომი იკვლევს საერთაშორისო პოლიტიკურ კლიმატს, რომელიც არის ანარქიული. აშშ ჩინეთს აღიქვამს, როგორც სწრაფად მზარდ ძალას, რომელმაც შეიძლება საერთაშორისო სტატუს-ქვოს ცვლილება მოახდინოს და ძალთა ბალანსი ახლებურად გადაანაწილოს. ამ მიზეზით, აშშ უპრიანად მიიჩნევს ჩინეთის მსო-ში ინტეგრაციას, რადგან პეკინის იზოლირება შეიძლება უფრო ძვირად დაუჯდეს ვაშინგტონს.

ანალიზის მეორე - შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებზე (ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, პროფკავშირები და სხვ.), რომლებიც თავიანთ ინტერესებს აქტიურად ლობირებენ კონგრესში, გავლენას ახდენენ მიმდინარე დებატებსა და დომინანტურ განწყობებზე და 90-იან წლებში განსაკუთრებულად ფესვგადგმულ ლიბერალურ მსოფლხედველობაზე, რომლის აქსიომა იყო შემდეგი: ეკონომიკური ლიბერალიზაცია პოლიტიკური ლიბერალიზაციის ტოლფასია.

ანალიზის მესამე - ინდივიდუალურ დონეზე, შესწავლილი არის აშშ-ის პირველი პირის პირადი პოლიტიკური მიდგომები, წამყვანი პოლიტიკური ელიტის მოსაზრებები და მათი გავლენა პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე; ჩინეთთან დაკავშირებული მოლოდინებისა და საფრთხის ორწახნაგოვანი ინტერპრეტაცია.

ნეოკლასიკური რეალიზმის მთავარი პოსტულატის მიხედვით, ქვეყნის პოლიტიკა განპირობებული არის მისი პოზიციით საერთაშორისო სისტემაში და ფარდობითი მატერიალური შესაძლებლობებით, რაც განაპირობებს თეორიის რეალისტურ მხარეს; თუმცა არის მეორე პოსტულატი, რომლის მიხედვით სისტემური ზეწოლა შუალედური ცვლადების მეშვეობით შეიძლება განსხვავებულად ინტერპრეტირდეს სახელმწიფოს დონეზე და სწორედ ეს განაპირობებს თეორიის ნეოკლასიკურ მხარეს. ქვეყნები მსგავსი ფარდობითი შესაძლებლობებით, მაგრამ განსხვავებული სახელმწიფო სტრუქტურით სხვადასხვაგვარად რეაგირებენ სტიმულზე. აღნიშნული თეორიისთვის ლიდერის აღქმებსა და იდეოლოგიას, სახელმწიფო წყობას, ინტერესთა ჯგუფებსა და შიდასახელმწიფოებრივ ფაქტორებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება (Rose, 1998).

ნეოკლასიკური რეალიზმის საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს სტივენ ლობელი, რომელიც ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკის გამტარებელი ფიგურა (FPE – Foreign policy executor) ორსახოვანი (Janus-faced) არის და საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის გადაკვეთაზე ოპერირებს, რაც მასზე უშუალო გავლენას ახდენს. ლობელის თანახმად, ქვეყნის პირველი პირის საერთაშორისო პოლიტიკა შესაძლოა საშინაო პოლიტიკით იყოს განპირობებული და პირიქით. აქედან გამომდინარე ხშირად ლიდერები გადაწყვეტილებას იღებენ ერთ დონეზე, თუმცა მიზნად ისახავენ მეორე დონეზე მოახდინონ შედეგზე ზეგავლენა. რაც შეეხება ძალის ფარდობითობას, რაც თეორიის ერთ-ერთი ბაზისია, ლობელი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ ძალის ერთიან ცვლილებას, არამედ მისი ცალკეული კომპონენტების ცვლილებასაც, მაგალითად ეკონომიკური ზრდა, ბირთვული იარაღის ფლობა და სხვა (Lobell, 2009).

ლობელიც, ზემოხსენებული თეორეტიკოსების მსგავსად, ლიდერისა და ელიტ-პოლიტიკის როლს უსვამს ხაზს და ამბობს, რომ ნეორეალისტები იმდენად არიან დაკავებული ფარდობითი სხვაობების გამოთვლით, რომ მათ მხედველობის მიღმა რჩებათ, რომ რიცხვები საკმარისი არ არის; არ აქვს მნიშვნელობა მოსახლეობის რაოდენობას, მუდმივი ჯარის რაოდენობას და სხვ., რადგან კითხვა იმაშიც მდგომარეობს ქვეყნის ლიდერს რამდენად შესწევს უნარი ფარდობითი უპირატესობა ეფექტურად გამოიყენოს, იქნება ეს სამხედრო უპირატესობის გაზრდა თუ კონკრეტული საგარეო პოლიტიკის შემუშავება. ლობელს სწორედ აქ შემოაქვს შიდა, სახელმწიფო პოლიტიკა როგორც შუალედური ცვლადი საერთაშორისო სისტემასა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკას შორის. ლობელი თვლის, რომ ქვეყნის შიგნით არსებულ ბიუროკრატიულ დეპარტამენტებს, ქვეყნის ელიტურ საზოგადოებას და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს თავისებური ზეგავლენა შეუძლიათ მოახდინონ ქვეყნის ლიდერზე და თუ საერთო ენას ვერ გამოიხატავენ, ამან შესაძლოა იმოქმედოს საგარეო პოლიტიკის ეფექტურად წარმართვასა და განხორციელებაზე (Lobell, 2009).

მორიგი საინტერესო საკითხი, რომელსაც თეორიის ფარგლებში წამოწევს ავტორი, არის საფრთხის მრავალგვარი ინტერპრეტაციები. ავტორი საუბრობს შიდასახელმწიფოებრივ საფრთხეებზე, რაშიც გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც გარკვეული ძალაუფლების მქონე გაერთიანებები ლობირებენ თავიანთ ინტერესებს და ხელისუფლებას აიძულებენ ისეთი შიდა თუ გარე პოლიტიკის გატარებას, რომელიც ასარგებლებს მათ, თუნდაც ეს სხვა გაერთიანებებს ან სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. თეორეტიკოსი იშველიებს ჰაროლდ ლასველის კლასიკურ შეკითხვას - 'ვინ რას მიიღებს, როდის და როგორ?' და ასკვნის, რომ მხოლოდ ეს არის შიდასახელმწიფოებრივი სოციოეკონომიკური ელიტის საზრუნავი. თუმცა, ეს სახიფათო შეიძლება იყოს სახელმწიფო ლიდერისთვის, რადგან შიდა განხეთქილებამ ლიდერს შეიძლება ყურადღება გადაატანინოს და მოცემული მომენტისთვის პირველმა პირმა შიდა ოპოზიციის განეიტრალების მიზნით შეცდომები დაუშვას საგარეო პოლიტიკის შემუშავების დროს (Lobell, 2009).

რეალიზმის სხვა მიმდინარეობების მსგავსად, ნეოკლასიკური რეალიზმისთვის ბირთვს ძალაუფლება წარმოადგენს, თუმცა ლობელი კლასიკური ძალთა ბალანსის თეორიის ალტერნატიულ ვერსიას გვთავაზობს, რომლის მიხედვით კონკრეტული ქვეყნის ძალა სხვადასხვა კომპონენტებით ფასდება, რასაც საფუძვლიანი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ქვეყნის ლიდერი და მისი კაბინეტი ითვალისწინებს არა მხოლოდ მთლიანი ძალის, არამედ კონკრეტული მნიშვნელოვანი შესაძლებლობების ზრდას თუ შემცირებას, რომელმაც შესაძლოა გარკვეული საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში. უფრო კონკრეტულად, ერთი სახელმწიფო მეორე ქვეყნისთვის იმის მიხედვით წარმოადგენს საფრთხეს, თუ მისი ძალის რომელი კომპონენტი განიცდის ზრდას: ინდუსტრიული განვითარება, საჰაერო ძალები, საზღვაო თუ სხვა. მაგალითად, თუ ქვეყანაში მრავლად არის ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესები და ფინანსური დაწესებულებები, მაშინ აღნიშნულ სექტორთა წარმომადგენლები ქვეყანას, რომელსაც იდეალური ბაზარი აქვს ინვესტიციების განხორციელებისთვის და პროდუქციის რეალიზაციისთვის საკუთარ მოკავშირედ ჩათვლიან და სერიოზულ ზეწოლას მოახდენენ თავიანთ ხელისუფლებაზე საგარეო პოლიტიკა მათი ინტერესების შესაბამისად შეიმუშაოს, რაც ზედმიწევნით ხსნის კლინტონის 1994 წლიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს. FPE-ს მიერ ქვეყნის იდენტიფიცირება როგორც საფრთხე ზოგიერთ ინტერესთა ჯგუფს ასარგებლობს, ზოგს აზიანებს, რაც ცვლის შიდასახელმწიფოებრივ ძალთა გადანაწილებას; აღნიშნულს კი უპირობოდ აქვს გავლენა ქვეყნის რეგიონულ თუ საერთაშორისო საქმიანობაზეც. თუმცა ლობელი ასევე ხაზს უსვამს FPE-ს პასუხისმგებლობას ორიენტირებული იყოს არა დაუყოვნებელი შედეგების მიღებაზე, არამედ თავისი ქვეყნისა და მოსახლეობის გრძელვადიან უსაფრთხოებაზე (Lobell, 2009).

ზემოხსენებულ მოსაზრებებს ამყარებს კენეტ უოლცი, რომელიც ამბობს, რომ მესამე სურათი გვაძლევს მსოფლიო პოლიტიკის ჩარჩოს, მაგრამ პირველი და მეორე სურათის გარეშე იგი ნაკლულია, რადგან შემუშავებული პოლიტიკის მაპროგნოზირებელ გარემოებებს სათანადოდ ვერ განსაზღვრავს. როუზი აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ფუნქციას ითავსებს ნეოკლასიკური რეალიზმი. ფარდობით ძალას რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ფაქტია, რომ შიდასახელმწიფოებრივ ფაქტორებს შეუძლია საგარეო პოლიტიკა წაიყვანოს განსხვავებული გზით, ვიდრე სტრუქტურული თეორიები წინასწარმეტყველებენ.

უნდა აღინიშნოს ნეოკლასიკური რეალიზმის ძლიერი მხარეები, რომელიც ზედმიწევნით ხსნის აშშ-ს ტოლერანტობას მეტოქე სახელმწიფოს მსო-ში ინტეგრაციასთან მიმართებით. ნეოკლასიკური რეალიზმი, რომელიც თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც გარე, ისე შიდა პოლიტიკურ კლიმატს, მიზეზებს, თუ რატომ აირჩია აშშ-მა ჩინეთის იზოლირების (შეკავების პოლიტიკის) ნაცვლად მისი ინტეგრაცია საერთაშორისო სავაჭრო საზოგადოებაში შემდეგნაირად ხსნის:

სისტემური დონე - ვაშინგტონმა გადაწყვიტა პოტენციური საფრთხე რეალურ შესაძლებლობად გადაექცია, რაც მსო-ს, როგორც ინსტრუმენტის გამოყენებით მოახერხა. ჩინეთის მსო-ში ინტეგრაციის საფუძველი არ იყო თანამშრომლობა, არამედ სტრატეგიული გათვლა ჩინეთისთვის შეზღუდვების დასაწესებლად და მისი ქცევის გასაკონტროლებლად, რომელიც არა მხოლოდ გარე სიგნალებით, არამედ შიდაპოლიტიკური განწყობებითაც იყო განპირობებული.

სახელმწიფო დონე - შიდასახელმწიფოებრივმა გავლენიანმა ინტერესთა ჯგუფებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას პრივილეგიების მიღების მიზნით, რამაც, გარკვეულწილად მოახდინა გავლენა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაზე.

ინდივიდუალური დონე - გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი პოლიტიკური რგოლის წარმომადგენლების მტკიცე რწმენამ, რომ (ინსტრუმენტალურ) ლიბერალურ პოლიტიკურ მიდგომას ხელეწიფება მშვიდობიანი გზით მიიღოს ყველა სასურველი პოლიტიკური შედეგი; მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ჩინეთის ეკონომიკური ლიბერალიზაცია, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკურ ლიბერალიზაციაც.

სამდონიანი ანალიზის მიუხედავად, საკითხის სრულფასოვანი გამოკვლევისთვის საჭირო გახდა კიდევ ერთი, ამჯერად, პოლიტიკის ეკონომიკის თეორიის შემოტანა - ლობიზმისა და ინტერესთა ჯგუფების თეორია, რომელიც სრულიად ჰგენს ნათელს იმას, თუ რა ტიპის ზეგავლენას განიცდის აშშ-ის ადმინისტრაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმის მიხედვით, თუ რამდენად მოდის შესაბამისობაში თუ წინააღმდეგობაში აღნიშნული

გადაწყვეტილება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მისწრაფებებთან თუ მიზნებთან. ინტერესთა ჯგუფებსა და მათ მიერ პრიორიტეტულ საკითხთა ლობირებაზე კონგრესში, თუ მის გარეთ, საინტერესო მიგნებები აქვს რობერტ სატერს. თავის ნაშრომში „აშშ-ის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ - შესავალი ინტერესთა ჯგუფების როლის განხილვაში“ - სატერი განიხილავს ლობიზმის ზეწოლას აშშ-ის ადმინისტრაციაზე. კლინტონი იძულებული გახდა გავლენების ბრძოლაში გამარჯვებული მხარის პოზიცია გაეთვალისწინებინა, რეპუტაციის შემლახველი გადაწყვეტილება მიეღო და უკან დაეხია. მისმა წინამორბედმა, ჯორჯ ჰარიეტ უოკერ ბუშმა უგულებელყო მის დროს გააქტიურებული ინტერესთა ჯგუფები (ადამიანის უფლებათა დამცველები, პროფკავშირები, ამერიკის მოქალაქე ჩინელი სტუდენტები ჰონგ-კონგში, აშშ-ის ინტერესების გამტარებელი პირები და სხვ.) და დაკარგა კიდეც თანამდებობა, მეორე ვადით აშშ-ს მოქალაქეებმა ის აღარ აირჩიეს პრეზიდენტად (Sutter, 1998). შესაბამისად, სატერი ასკვნის, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე აშშ-ის ლიდერებმა მწარე გაკვეთილი მიიღეს იმის თაობაზე, რომ საგარეო პოლიტიკის შემუშავების დროს, შიდა პოლიტიკური ფაქტორების უგულებელყოფამ ცდომილებამდე შეიძლება მიიყვანოს ისინი. მაგალითად, სატერი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ჩინეთის მკაცრი მოთხოვნის მიუხედავად, ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნით, კლინტონმა ნება დართო ტაივანის პრეზიდენტს დაშვება განეხორციელებინა აშშ-ის ტერიტორიაზე; საპასუხოდ ჩინეთმა სამხედრო წვრთნები წამოიწყო ტაივანის სანაპირო ზოლში და მიანიშნა აშშ-ს, რომ არის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთაც პეკინისთვის დაუშვებელია. აღნიშნული გარემოება წარმოაჩენს თუ რამდენად რთული შეიძლება იყოს ლიდერისთვის დაბალანსოს შიდა და გარე ზეწოლა. რობერტ პუტმანი ამ ფენომენს ორ დონეზე თამაშის თეორიას უწოდებს.

გარდა ამისა, შიდა განხეთქილება არასდროს რჩება გარე ძალებისთვის შეუმჩნეველი. გაძლიერებული ლობიზმი და პრეზიდენტი, რომლის გამოუვალი მდგომარეობა ყველასათვის თვალშისაცემია, საშუალებას აძლევდა ჩინეთს, ნაკლებად ეზრუნა აშშ-ის მოთხოვნების შესრულებაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდ ფარდობით უპირატესობას სძენდა მხარეთა მიერ წინაპირობების წაყენების დროს.

სატერი გამოყოფს საგარეო პოლიტიკის ფორმირების ორ მოდელს, ელიტისტურს და პლურალისტურს. პირველი გულისხმობს სახელმწიფო დეპარტამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებას, ხოლო მეორე გულისხმობს მეტი ეკონომიკური სააგენტოებით გაჯერებული აღმასრულებელი ხელისუფლების, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ლობისტური ჯგუფების აქტიურ თანამონაწილეობას. კლინტონის მმართველობის მეორე ფაზაში, სწორედ ზემოხსენებული მეორე ვარიანტით ხდებოდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წარმოება (Sutter, 1998, p.11).

კლინტონის ადმინისტრაციამ ვერ გაითვალისწინა რა შედეგები მოჰყვებოდა ჩინეთისთვის ულტიმატუმების წაყენებას გრძელვადიან პერსპექტივაში. კლინტონისგან განსხვავებით

ბუმს გაანალიზებული ჰქონდა ყველა შესაძლო შედეგი. კერძოდ: მან იცოდა, რომ MFN სტატუსის შეწყვეტა ჩინეთისთვის უარყოფითად აისახებოდა ჰონგ-კონგის ეკონომიკაზე, ისევე როგორც ექსპორტზე ორიენტირებულ ჩინურ კომპანიებზე სამხრეთ ჩინეთში, რაზეც პეკინი აუცილებლად მოახდენდა რეაგირებას და აშშ-ის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, საფრენი აპარატების ნაწილებისა და სხვა პროდუქტების გასაღების ბაზარზე წვდომას შეუწყვეტდა, რაც მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებდა აშშ-ს ეკონომიკას. თუმცა, ბუმის მიკერძოებამ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან უარყოფითად იმოქმედა მის კარიერაზე.

კლინტონის ადმინისტრაციას კი განსხვავებული გამოცდილება ჰქონდა თავდაპირველი საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციამ იხელმძღვანელა იმ განწყობით, რომელიც საზოგადოებას მოცემულ მომენტში, 1991 წელს ჰქონდა. კერძოდ, ტიანანმენის ტრაგედიის შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო იყო გასული და ხალხის ცნობიერებას ჯერ კიდევ მძაფრად ჰქონდა შემორჩენილი ტრაგედიის კადრები. ჩინეთის ბაზარი მკვეთრად იყო გაზრდილი და გაცილებით უფრო მიმზიდველი იყო ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთათვის, ვიდრე ადრე. გარდა ამისა, ბუმის ვეტოთი დაიმედებული ბიზნეს სექტორები ნაკლებად აქტიურობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თვლიდნენ, რომ ვაშინგტონი მხოლოდ ისეთ პირობებს უწესებდა ჩინეთს, რომლის შესრულება ჩინეთს შეეძლო. თუმცა, როგორც კი მათ გაანალიზეს მოთხოვნილი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა, რომ აშშ რაიმე კონკრეტული ნაბიჯების ნაცვლად, სულ რაღაც ერთ წელიწადში, ზოგადი პროგრესის ჩვენებას მოითხოვდა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ქვეყნისგან, სადაც ბავშვთა და პატიმართა შრომა ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო, მათ იგრძნეს რეალური საფრთხე; ბიზნეს სექტორების წარმომადგენლებმა მაშინვე შეიცვალეს განწყობა და ღიად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია და აქტიურად დაიწყეს თავიანთი მისწრაფებების ლობირება (Sutter, 1998).

იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ მუშაობდა ლობირების პროცესი, უპრიანი იქნება მარტივი მაგალითის ციტირება 90-იანი წლების აშშ-ს პოლიტიკიდან. ბუმის მიერ ჩინეთისთვის დაკისრებულმა სანქციებმა მნიშვნელოვნად დააზარალა Hughes Aircraft კომპანია, რომლის თავმჯდომარე მაიკლ არმსტრონგი საარჩევნო კამპანიაში კლინტონის აქტიური მხარდამჭერი იყო ბიზნეს საზოგადოებიდან. მისი საწარმო კალიფორნიის შტატში მდებარეობდა, რომელიც, საარჩევნო ხმების თვალსაზრისით გადამწყვეტი იყო კლინტონის კანდიდატურის გამარჯვებისთვის. არმსტრონგმა პირადად მისწერა კლინტონს გამოწვევის შესახებ და შეახსენა მისი მხარდაჭერა არჩევნების დროს, რომელიც შეიძლება დაეკარგა კლინტონს; წერილში ის ასევე საუბრობდა იმ ფაქტზე, რომ ზარალი მხოლოდ საწარმოს და პირადად მას კი არა, 4000-5000-მდე საწარმოში დასაქმებულ პირს მიაღებოდა და ის თავისი საწარმოს ევროპაში გადატანას და იქიდან ჩინეთში

ექსპორტირებას განიხილავდა (Sutter, 1998, p. 49). ამ და სხვა შინაარსის 800-მდე კომპანიისგან გამოგზავნილი წერილების მიმართ კლინტონი საკმაოდ მოწყვლადი აღმოჩნდა და საბოლოოდ განეწყო გადაწყვეტილების შეცვლისკენ. ხსენებული 800-მდე კომპანია ერთ ბიზნეს კოალიციაში იყო გაერთიანებული, რომელიც 1991 წელს, ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციის დროს შეიქმნა ჩინეთისთვის MFN-ის გახანგრძლივების მიზნის ლობირებისთვის და რეალურად წარმოადგენდა არაფორმალურ ლობისტურ ძალას. წევრები წარმოადგენდნენ გავლენიან კორპორაციებს, საპორტო ქალაქებსა თუ სავაჭრო გაერთიანებებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ჩინეთთან. მათგან წამყვან ძალას წარმოადგენდა ამერიკული ვაჭრობის საგანგებო კომიტეტი (ECAT), სინო ამერიკული ბიზნეს-საბჭო, აშშ-ის სავაჭრო პალატა, ჰონგ-კონგის ინტერესთა ჯგუფები და ჩინეთის მთავრობა. აღნიშნული კოალიციის მიზანი იყო ემუშავა არა მხოლოდ პრეზიდენტზე, არამედ კონგრესზეც. ამ უკანასკნელის დასარწმუნებლად კი იყენებდნენ მანტრას იმის თაობაზე, რომ მუშახელის უფლებების დარღვევის ფაქტები ჩინეთში მეტად აღარ შეინიშნებოდა. გავრცელებული ბრალდებების თანახმად, ჩინეთიც, თავის მხრივ, აქტიურად აფინანსებდა სასურველი პოლიტიკის ლობირებას აშშ-ში, რამაც ასევე დიდი როლი ითამაშა პრეზიდენტის მიერ 1994 წლს გაკეთებული გადაწყვეტილების მიღებაში (Sutter, 1998, pp. 50-60).

აქედან გამომდინარე, ლობისტური ჯგუფების გავლენების სათანადოდ არ შეფასება მოცემული საკითხის კვლევას ნაკლულს გახდის. სწორედ მისი ნეოკლასიკურ რეალიზმთან შერწყმით ხერხდება აშშ-ს გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის ჯეროვანი ანალიზი და შეფასება.

4. შედეგების განხილვა

4.1. MFN სტატუსი და კლინტონის ულტიმატუმი

საბჭოთა 1960-იან წლებში ჩინეთისა და აშშ-ის დაახლოებას საერთო მოწინააღმდეგის - საბჭოთა კავშირის არსებობამ შეუწყო ხელი.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთი იყო, მსო-ს წინამორბედი, GATT-ის (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება) ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე. 1947 წელს, როდესაც მაო ძედუნის კომუნისტურმა პარტიამ სამოქალაქო ომში ჩიან კაიში-შეკის ნაციონალისტური პარტია დაამარცხა, ამ უკანასკნელმა ტაივანში გადაინაცვლა. 1950 წელს გაერომ ნაციონალისტური პარტიისგან მიიღო ტელეგრამა GATT-იდან გასვლის თაობაზე, რომელიც ძალაში შეტყობინების მიღებიდან რამდენიმე თვეში შევიდა. ცხადია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო ნაციონალისტური პარტიის მიმართვა, თუმცა ორი ჩინეთის არსებობა და თანმხლები უთანხმოებები პროცესს საკმაოდ

ართულებდა. შესაბამისად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სრულად გამოეთიშა ორგანიზაციას და ათწლეულები დასჭირდა კვლავ წევრობის უფლების მოსაპოვებლად (Devereaux, Lawrence, & Watkins, 2006, pp. 241–306).

შემდგომ წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არც ისე მონდომებული იყო გამხდარიყო GATT-ის წევრი, რაც, შესაძლოა ჩინეთის კულტურული რევოლუციითაც აიხსნას, რადგან 60-იან და 70-იან წლებში ქვეყნის წამყვანი ეკონომიკური პრინციპი თვითუზრუნველყოფა იყო. თუმცა, მას შემდეგ რაც 1980 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა IMF-ს და მსოფლიო ბანკს შეუერთდა და ასევე GATT-ის დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა ხმის მიცემის უფლების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკას და სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა პეკინი; ეს ყველაფერი კი დაგვირგვინდა დენ სიაოპინის ხელისუფლებაში მოსვლით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა არაერთ ეკონომიკურ რეფორმას ჩინეთში.

სინო-ამერიკული თანამშრომლობა არ გულისხმობდა გამორჩეულად მჭიდრო კავშირს რომელიმე სფეროში, სსრკ-ს დაბალანსება სავსებით საკმარისი მიზეზი იყო ურთიერთთანამშრომლობისათვის. საერთო მეტოქის არსებობის ფონზე, ორ ქვეყანას შორის არსებული უნდობლობა მეორეხარისხოვან საკითხად იქცა. თუმცა, ვითარება შეიცვალა 80-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირი დასუსტდა და აღარ წარმოადგენდა არსებით საფრთხეს დანარჩენი მსოფლიოსთვის, რამაც სინო-ამერიკულ ურთიერთობებს მთავარი საყრდენი გამოაცალა (Scott & O’Hanlon, 1996). თუმცა, ამ დროისათვის, აღსანიშნავია, რომ ჩინეთი უკვე აღარ კლასიფიცირდებოდა როგორც ღარიბი და სუსტი ქვეყანა.

1993 წლისთვის ჩინეთის ეკონომიკა თითქმის აშშ-ს ეკონომიკის ნახევარს უდრიდა, თუმცა, პეკინის განსაცვიფრებელი ეკონომიკური ზრდა არაპროგნოზირებადს ხდიდა მოვლენების განვითარებას.

ნაშრომის პირველი თავსატეხი, რომელიც მდგომარეობს აშშ-ს მიერ ჩინეთის მსო-ში გაწვევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მხარდაჭერაში, თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა. კერძოდ, ყურადღება ეთმობა კლინტონის ადმინისტრაციის ორი რადიკალური გადაწყვეტილების შესწავლასა და ანალიზს. პირველი, მისი წინამორბედის, ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუშის საწინააღმდეგო პოლიტიკური კურსის გატარებას ჩინეთთან, ხოლო შემდგომში, მალევე, მეორე ვადით საპრეზიდენტო კამპანიის ჩატარების მიჯნაზე, ცვლილებას საგარეო პოლიტიკაში, რომელიც გულისხმობს აშშ-ს რადიკალურად განსხვავებულ, მაამებლურ რიტორიკას და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ჩინეთთან.

ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან არასოდეს არც ერთი წევრი არ გასულა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად სარფიანია მსო-ს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური უპირატესობებით სარგებლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე დიდი წილი აშშ-ზე მოდის, რაც მას მსო-ს ბიუჯეტის ყველაზე დიდ კონტრიბუტორად აქცევს, სწორედ აშშ უძღვება ორგანიზაციის საბიუჯეტო კომიტეტს და კურიერებს მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას (Bacchus, 2023).

მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1979 წლის ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო შეთანხმება, რომელიც საერთო MFN სტატუსის მინიჭებას გულისხმობდა ჩინეთისთვის, თუმცა, MFN სტატუსი არ იყო მუდმივი და ჩინეთს, როგორც არასაბაზრო ეკონომიკას, ჯექსონ - ვანიკის მოთხოვნების დაკმაყოფილება ევალებოდა.

საგულისხმო არის ის ფაქტი, რომ არასოდეს არცერთი სახელმწიფო არ გაწევრიანებულა მსო-ში აშშ-ს თანხმობის და MFN სტატუსის მინიჭების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად და პროცედურულად მსო-ს წევრების 2/3-ის თანხმობა არის საკმარისი.

რაში მდგომარეობდა MFN სტატუსის უპირატესობა? აშშ-ში აღნიშნული სტატუსის მქონე ქვეყნები პირველი სვეტის სატარიფო განაკვეთს მიეკუთვნებოდნენ, რაც სავაჭრო პრივილეგიებით სარგებლობას გულისხმობდა. ხოლო MFN სტატუსის არმქონე ქვეყნები მეორე სვეტის ტარიფებით აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს, რომელიც, ჯერ კიდევ 1930 წელს შემუშავებულ, სმუთ-ჰოლდის სატარიფო აქტის საფუძველზე შეიქმნა და რომელიც ყველაზე მაღალი ტარიფებით ხასიათდებოდა. უკეთ აღსაქმელად, მეორე სვეტის ტარიფები პირველი სვეტის ტარიფებს სულ მცირე ათჯერ აღემატებოდა, რაც არასახარბიელოს ხდიდა ვაჭრობას. რადგან ჩინეთი არაწევრი სახელმწიფო იყო, GATT-ის თავისუფალი ნება იყო ყოველ ჯერზე კონტექსტიდან გამომდინარე მიეღო გადაწყვეტილება სტატუსის შეწყვეტასთან თუ განახლებასთან დაკავშირებით (Saunders, 1995).

კიდევ უფრო საგულისხმო არის ის, თუ რას ნიშნავდა ჩინეთისთვის MFN სტატუსის დაკარგვა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანახმად, MFN სტატუსის დაკარგვა ჩინეთის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახებოდა, თუმცა მის კონკურენტუნარიანობას არსებით საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. სტატუსის დაკარგვიდან პირველივე წელს ქვეყნის საექსპორტო შემოსავალი 7.5%-დან 15% -მდე შემცირდებოდა რაც 6.5-დან 13 მილიონამდე ადამიანის უმუშევრად დატოვებას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი დაკარგავდა კონკურენტუნარიანობას ისეთი პროდუქციის ექსპორტში როგორიც არის ტექსტილი და სამოსი, იგი კვლავ მთავარ საბაზრო ეკონომიკურ ძალად დარჩებოდა ისეთ კატეგორიებში, რომელშიც MFN სტატუსის არმქონე ქვეყნებისთვის მაქსიმალური ტარიფი

არ აღემატება 35%-ს. ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნებოდა მაგალითად ფეხსაცმლისა და სამომხმარებლო ელექტრონიკის ინდუსტრია, ილუსტრაციისთვის, რეზინის ფეხსაცმელი, რომელსაც ჩინეთი 1.77 დოლარად აწარმოებს და 35%-იანი საბაჟო გადასახადის გათვალისწინებით (რომელიც არქივში იყო ნახსენები) 2.39 დოლარად გააქვს ექსპორტზე, მომხმარებლისთვის მაინც ბევრად უფრო მისაღები ტარიფი არის სხვა განვითარებადი ქვეყნების ტარიფთან შედარებით, რომელსაც დაახლოებით 7 დოლარამდე უწევთ ტარიფის გაზრდა. შესაბამისად, ჩინეთი კვლავ უკონკურენტო რჩებოდა რიგ ინდუსტრიებში. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჩინეთი, საჭიროების შემთხვევაში, ჩინური რემნიბის გაუფასურებასაც მიმართავდა საექსპორტო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. ჩინეთისთვის ამ ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება მარტივდებოდა იმ მოცემულობით, რომ ქვეყანას გააჩნდა ორი სავალუტო სისტემა (ჩინური რემნიბი კონტინენტური ჩინეთისთვის და ჩინური იუანი საერთაშორისო ტრანზაქციებისთვის), რომლის წყალობითაც ჩინეთი მაღალი კურსის ჩინურ რემნიბის იყენებდა ოფიციალური იმპორტის შემთხვევაში და პირიქით, აუფასურებდა მას ექსპორტის შემთხვევაში. (Clinton Digital Library, 2024).

რაც შეეხება აშშ-ის პოზიციას, კონგრესის წარმომადგენლები, ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს, შემფოთებას გამოხატავდნენ ჩინეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. შფოთის საბაზს იძლეოდა ის ეკონომიკური სურათი, რომელიც ჩინეთმა სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში - 1988 წლიდან 1990 წლამდე შექმნა, როდესაც აშშ-სთან ჩინეთის სავაჭრო დადებითი სალდო 3.5 მლრდ-დან 10.4 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. მთავრობის წარმომადგენლებს აშფოთებდათ არამხოლოდ ვაჭრობის სწრაფი ზრდა, არამედ მისი სტრუქტურული ცვლილებაც. კერძოდ, თუ ადრე ჩინეთის საექსპორტო პროდუქცია ნავთობპროდუქტებით შემოიფარგლებოდა, ახლა ჩინეთს საექსპორტო ნაწარმის მთელი პალიტრა ჰქონდა გაყიდვაში - ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დაწყებული სათამაშოებითა და ელექტრონიკით დამთავრებული. ამასთანავე, ჩინეთი ნაკლებ ინტერესს ავლენდა ამერიკული პროდუქციის იმპორტის საკითხთან დაკავშირებით, რაც ასევე საგულისხმო იყო ამერიკული მხარისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ (Devereaux, Lawrence, & Watkins, 2006, pp. 241–306).

4.2. კლინტონის გადაწყვეტილება

(1992-1994 წლები)

პრეზიდენტობის ახალ კანდიდატს ბილ კლინტონს, მოქმედი პრეზიდენტისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია ეკავა. საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს იგი ღიად აკრიტიკებდა ბუშს ჩინეთთან ურთიერთობების დათბობის მცდელობისთვის. მისი წინამორბედის გამოცდილების ფონზე, კლინტონმა თავად „ზმის სტრატეგია“ შეიმუშავა

ჩინეთთან, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში გულისხმობს სხვადასხვა საკვანძო სფეროების ერთმანეთთან დაკავშირებას მოლაპარაკებებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. კლინტონმა სწორედ ამ მიდგომით დასახა ბმა ჩინეთში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებსა და სავაჭრო უპირატესობების მინიჭებას შორის, რაც განახორციელა კიდევ პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს, როდესაც MFN სტატუსი გამოიყენა, როგორც ბერკეტი (Hong, 2019).

ბილ კლინტონს ჰქონდა სურვილი წარმოეჩინა თუ როგორი ერთიანი იყო აშშ-ს პოლიტიკური ელიტა, რადგან მისი წინამორბედის გამოწვევა მუდმივად კონგრესთან დაპირისპირებაში გამოიხატებოდა. აღნიშნული საკითხი კლინტონმა აღმასრულებელ ბრძანებაშიც გააჟღერა, სადაც განმარტა, რომ არ არსებობს ცალკე აღმასრულებელი ორგანოების და ცალკე კონგრესის პოლიტიკა, არამედ არსებობს ერთი - ამერიკის პოლიტიკა. ასევე ხაზი გაუსვა ერთიანობის აუცილებლობას, რადგან კონგრესსა და აღმასრულებელ ორგანოთა შორის მუდმივმა განხეთქილებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა (U.S. President, 1993). გარდა ამისა, კლინტონს გააჩნდა საკუთარი პრიორიტეტების სია, რომელიც გულისხმობდა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას ჯანდაცვისა და განათლების სფეროში, რაც სერიოზულ მატერიალურ სახსრებს მოითხოვდა; იმისათვის, რომ კონგრესს დაემტკიცებინა ბიუჯეტი კონკრეტული გეგმების დასაფინანსებლად, როგორც ბიუჯეტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, კლინტონს საკმაოდ დიდი ძალისხმევის გაღება უწევდა. შესაბამისად, აშშ-ს ლიდერის საუკეთესო ინტერესს შეადგენდა კონგრესის კეთილგანწყობის მოპოვება. (Shaw, 2001). თუმცა ყველაზე მთავარი კლინტონის კაბინეტისთვის კონსენსუსის მისაღწევად იყო მოლაპარაკებების წარმატებით წარმოება წარმომადგენელ ნენსი პელოსისა და უმრავლესობის ლიდერ ჯორჯ მიტჩელთან, რომლებიც კონგრესში ჩინეთის პოლიტიკის მთავარი მომლაპარაკებლები იყვნენ; სწორედ აღნიშნულმა ფიგურებმა მიიტანეს იერიში ბუშის ადმინისტრაციაზე ჩინეთთან გატარებული დამთბარი პოლიტიკის გამო და სწორედ ისინი მოითხოვდნენ MFN სტატუსის სანაცვლოდ არაერთი პირობის წაყენებას პეკინისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, კლინტონი მოწადინებული იყო მალევე წარმოეჩინა ჰარმონიული თანამშრომლობა კონგრესში, რაც მისი სწორი მმართველობით იყო მიღწეული. მიტჩელისა და პელოსის მხარდაჭერა კი კონგრესის მხარდაჭერის ტოლფასი იყო.

აქედან გამომდინარე, კლინტონმა თავისი პოლიტიკური მიზნები შიდა სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე დაყრდნობით შეიმუშავა, რადგან ცალსახად ნათელია, თუ რამდენად დიდი ზეგავლენა ჰქონდა წარმომადგენლობითი პალატის კომიტეტებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე. პრეზიდენტობის კანდიდატის ამგვარი დამოკიდებულება ჩინელების შემფოთებას იწვევდა. სანამ კლინტონი ჩინეთისთვის მიცემულ MFN სტატუსისთვის

პირობითი ხასიათის მიცემაზე აღმასრულებელ ბრძანებას გამოსცემდა, მან 298 კომპანიისგან და 37 სავაჭრო ასოციაციისგან მიიღო ერთი და იგივე შინაარსის წერილი, სადაც კატეგორიული მოთხოვნა იყო ხელშეუხებელი დარჩენილიყო ჩინეთის MFN სტატუსი. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა 1993 წლის 28 მაისის აღმასრულებელ ბრძანებაში შემდეგი გზავნილები გააკეთა:

„ჩემთვის, როგორც პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით მონიჭებული უფლებამოსილებით ვაცხადებ, რომ ჩინეთს შესაძლოა გაუხანგრძლივდეს MFN სტატუსი 12 თვის ვადით, დაწყებული 1994 წლის 3 ივლისიდან; თუმცა, სტატუსის გახანგრძლივება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სავაჭრო აქტის 402 პუნქტით განსაზღვრულ საემიგრაციო წესების შესრულებას; თუ ჩინეთს ექნება წარმატება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში; თუ დართავს საერთაშორისო რადიო და ტელე-მაუწყებლობას თავისუფლად მუშაობის ნებას“ (Executive order ,1993) და სხვა.

4.3. კლინტონის საგარეო პოლიტიკის ფიასკო

კლინტონის ინიციატივას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ როგორც ადმინისტრაციის, ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.

თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მეტ-ნაკლებად მისაღები იყო კონგრესისთვის, ცხადია ის აღმაშფოთებელი აღმოჩნდა ბიზნესასოციაციებისთვის, რომლებიც აცნობიერებდნენ, რომ MFN სტატუსის შეჩერების საპირწონედ, ჩინეთსაც შეეძლო ტარიფების გაზრდა ამერიკულ ექსპორტზე, რაც სხვა აქტორებთან - იაპონიასთან და ევროპასთან შედარებით, აშშ-ს კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად შეამცირებდა (Hong, 2019). უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ 1993 წლის აღმასრულებელი ბრძანება ბიზნესსექტორისთვის გამომავლიანობის ფაქტორი აღმოჩნდა. თუ იქამდე ისინი ღიად არ ავლენდნენ ჩინეთის MFN სტატუსთან დაკავშირებით თავიანთ პოზიციებს, რადგან წინამორბედი პრეზიდენტის ვეტოს უფლებით იყვნენ დაიმედებულები, ამჯერად მდგომარეობა განსხვავებული იყო და მათ უბრალოდ აღარ ჰქონდათ პასიურად ყოფნის ფუფუნება. კლინტონს აღმასრულებელი ბრძანების გამოქვეყნებისთანავე 800 კომპანიისგან მიუვიდა წერილები, რომელთა შინაარსშიც საერთო მისწრაფებები იკვეთებოდა. ბიზნესწარმომადგენლები გამოხატავდნენ შეშფოთებას მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და პრეზიდენტისგან დაუყოვნებლივ ითხოვდნენ პოლიტიკის ცვლილებას (Lampton, 1994).

1993 წელს ჯიანგ ზემინის მიერ განხორციელებული ოფიციალური ვიზიტის დროს აშშ-ში ნათლად წარმოჩინდა ბიზნეს სექტორების დაინტერესება ჩინეთის ბაზრით. ჩინეთის

პირველი პირი დემონსტრაციულად ეწვია „ბოინგის“ სათავო ოფისებს და აღმასრულებელ დირექტორებს ესაუბრა ყოველგვარი სინო-ამერიკული სავაჭრო ურთიერთობების დამაზიანებელი პოლიტიკის ალაგმვის აუცილებლობაზე, რაშიც თავისთავად იგულისხმებოდა MFN სტატუსი. გარდა ამისა, ახალი პრეზიდენტის ეგიდით ჩინეთმა კავშირების გამყარება დაიწყო ევროპის წამყვან ქვეყნებთან რისი უგულვებელყოფაც არ ხელეწიფებოდა ვაშინგტონს. კერძოდ, გერმანიის კანცლერის, ჰელმუტ კოჰლისა და ორმოცამდე წამყვანი გერმანული კომპანიის წარმომადგენლების ვიზიტის ფარგლებში ორი მილიარდი დოლარის ღირებულების 18 საქმიანი ხელშეკრულება გაფორმდა გერმანიასა და ჩინეთს შორის. ჯიანგ ზემინის გერმანიასთან ბიზნესმოლაპარაკებების წარმოება საკმაოდ დროული იყო, რადგან ინფორმაცია სიეტლის გაზეთებში სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც კლინტონი სტუმრობდა ქალაქს აშშ-ს ეკონომიკური სფეროს ყველა უმაღლეს წარმომადგენელთან ერთად. გზავნილი საკმაოდ ნათელი იყო, ევროპის ქვეყნები არათუ ემხრობოდნენ ვაჭრობის საკითხების ადამიანის უფლებებთან დაკავშირებას, არამედ ნეიტრალურ პოზიციასაც არ სჯერდებოდნენ და ვაშინგტონის გადაწყვეტილების მიუხედავად, ისინი ცალსახად მისდევდნენ საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს (Mann, 1999, pp. 281-292). აშშ-ჩინეთის ეროვნული კომიტეტის დირექტორი - დევიდ ლამპტონის თანახმად, გონივრულობის ფარგლებს სცდებოდა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან აქტორებთან არასტაბილური და დამაბული ურთიერთობის ქონა (Lampton, 1994).

განვითარებული მოვლენების ფონზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კლინტონის ადმინისტრაციამ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ წაეღო უკან აღმასრულებელ ბრძანებაში გაჟღერებული წინაპირობები რეპუტაციის შელახვის გარეშე. ადმინისტრაციის წევრები განიხილავდნენ რომელი იქნებოდა უმჯობესი, საზოგადოებისთვის თვალის ახვევა და განცხადება იმისა, რომ ჩინეთმა რიგი ვალდებულებების შესრულებით პროგრესს მიაღწია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა და არასწორ გზავნილს გააკეთებდა პეკინისადმი; ან შეზღუდული სანქციების დაკისრებით ეცადათ მცირეოდენი ერთგულება გამოეჩინათ ერთი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილებისადმი. ერთ-ერთი ლოგიკური იდეა გაჟღერდა MFN პრივილეგიების მხოლოდ კერძო საწარმოების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე გავრცელების თვალსაზრისით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ნაწარმის წარმომავლობის დადგენა, აღნიშნული იდეა უარყოფილი იქნა. საბოლოოდ კლინტონის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ MFN სტატუსის მინიჭების წინაპირობად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხის დაყენების პოლიტიკამ სრულად ამოწურა თავისი თავი, რაც ასევე ქმნიდა ბუნდოვანებას, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ს ერთი წლის განმავლობაში არანაირი ბრძანებით განსაზღვრული სანქცია არ დაუკისრებია ჩინეთისთვის.

1990 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა მსხვილი კომპანიები მუდმივად ცდილობდნენ ღიად დაეჭირათ მხარი ჩინეთისთვის MFN პრივილეგიების მინიჭებას; 1994 წელს ასეთი კომპანიების რიცხვი 800-მდე გაიზარდა, რაც სერიოზულ ძალას წარმოადგენდა თავისი გავლენებით. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებადამცველები, ჩინელი სტუდენტები და არანაკლებ საგულისხმო ამერიკის შრომის ფედერაცია და სამრეწველო ორგანიზაციების კონგრესი (AFL-CIO) ერთობლიობაში ვეღარ გადასწონიდნენ ჩინეთთან უზარტიერო სავაჭრო ურთიერთობების წარმოების აუცილებლობას. კლინტონმა რიტორიკა შეცვალა და ახალი პოლიტიკური კურსისთვისაც იგივე მანტრა გამოიყენა აღნიშნა რა, რომ შეცვლილი პოლიტიკა მხოლოდ ახლებური გზა იყო ჩინეთში დემოკრატიის დასამყარებლად და საბოლოო მიზანი კვლავ იგივე დარჩა. თუმცა კლინტონის მიერ პოლიტიკური კურსის შეცვლამ დასაბამი დაუდო მნიშვნელოვან ცვლილებებს სინო-ამერიკულ ურთიერთობებში; ჩინეთისთვის გზავნილი შემდეგნაირად იქნა გაგებული: აშშ-ს პრეზიდენტი ზეწოლის ქვეშ ექცეოდა და პოლიტიკური კურსის შეცვლაც რეალისტური იყო. ვაშინგტონმაც შეცვალა პრიორიტეტები. თუ კლინტონის პრეზიდენტობის პირველ წლებში ყურადღების ცენტრში რუსეთის, ბოსნიისა და მესამე მსოფლიოს ქვეყნების საკითხი იდგა, ხოლო ჩინეთზე მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს საუბრობდნენ, 1995 წლიდან მოყოლებული ჩინეთი გახდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ყველაზე სერიოზული გამოწვევა (Mann, 1999, pp. 292-310).

4.4. სინო-ამერიკული გზა იზოლაციიდან თანამშრომლობამდე

1994 წლიდან სინო-ამერიკული ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა. აღნიშნული ფაზა მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდებოდა, კერძოდ 1995 წელს ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების შემდგომ საფუძველი ეყრება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომლის წევრობა, GATT-სთან შედარებით, მოითხოვდა შიდა ეკონომიკური საქმიანობის ბევრად უფრო ფართო სპექტრის ლიბერალიზებას, მათ შორის იმ სფეროებისა, რომლებიც მრავალი ქვეყნისთვის ყველაზე მგრძნობიარედ იყო მიჩნეული (Lardy, 2002).

ჩინეთის ურყევი პოზიცია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის ცდილობდა მსო-ს წინამორბედ ორგანიზაციაში - ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება, გაწევრიანებულიყო გახლდათ ორგანიზაციის შემადგენლობაში შესვლა განვითარებადი ქვეყნის სტატუსით, რაც დანარჩენი წევრი ქვეყნების მხრიდან თავისთავად გულისხმობდა განსაკუთრებულ დათმობებზე წასვლას. მიზნის მისაღწევად, ჩინეთმა არც თუ ისე უმნიშვნელო ნაბიჯები გადადგა სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით. კერძოდ, 1996-1999 წლებში პეკინმა სატარიფო განაკვეთი 43%-დან 17%-მდე შეამცირა და პირობა დადო, რომ, სამომავლოდ, აუცილებლად დაიყვანდა განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელ საშუალო სატარიფო განაკვეთამდე (Lai, 2001).

საინტერესო იყო 1996 წელიც, არაერთი გარემოების გამო. ეს არის პერიოდი, როდესაც სულ რაღაც ერთი წელი არის გასული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსებიდან. მაგრამ ყველაზე საგულისხმო სინო-ამერიკული ურთიერთობებისთვის არის ის, რომ 1996 წელი აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი იყო და კლინტონი ხელახლა იყრიდა კენჭს ამჯერად რესპუბლიკელი ბობ დოულის წინააღმდეგ. ზუსტად იმავე წელიწადში კლინტონი ბუშის პოზიციაში აღმოჩნდა, როდესაც ის ჩინეთთან კავშირების გაღრმავებას საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ განხორციელებად მიზნად სახავდა. რაც შეეხება პეკინს, მისთვის ბევრად უპრიანი იყო თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტისთვის დაეჭირა მხარი, რომელმაც გამოცდილებით იცოდა ჩინეთთან საქმიანი ურთიერთობების წარმოება და, რაც ასევე მნიშვნელოვანი არის, პრეზიდენტობის მეორე ვადით არჩევის შემდეგ კლინტონი კონგრესზე ნაკლებად დამოკიდებული იქნებოდა. მითუმეტეს იმის ფონზე, რომ დოული წინასაარჩევნოდ ტაივანთან ურთიერთობების გაღრმავებაზე საუბრობდა, ჩინეთმა ცალსახად კლინტონის კანდიდატურას მიანიჭა პრიორიტეტი, ისევე, როგორც რიჩარდ ნიქსონს, ჯიმი კარტერს და ჯორჯ ბუშს თავის დროზე (Mann, 1999). 1996 წლის ივნისში წარმომადგენლობითმა პალატამ 286/141-ზე ხმით მხარი დაუჭირა ჩინეთისთვის MFN სტატუსის შენარჩუნებას.

ჰარი ტრუმენიდან დაწყებული კლინტონის ადმინისტრაციამდე, აშშ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების მართვას სამხედრო პრიზმიდან უყურებდა; უშიშროებისა და უსაფრთხოების პრინციპებზე იდგა ალიანსების და სტრატეგიული პარტნიორების შერჩევის საკითხი, თუმცა კლინტონის ადმინისტრაციამ სრულიად ახალი საზომის მნიშვნელობა აღიარა - საერთაშორისო ვაჭრობა, რომელზეც აშშ, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული. სწორედ ამ დროიდან ტერმინი 'ინტერნაციონალიზაცია' მსოფლიო ვაჭრობის კონტექსტში განიხილებოდა. ახლებურმა ხედვამ განსხვავებული პოლიტიკური მიზნები დააყენა დღის წესრიგში და მას შემდეგ, რაც კლინტონმა წარმატებით გაართვა თავი შეთანხმების დადებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კანადასა და მექსიკასთან (NAFTA ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა), მთელი ყურადღება მორიგი მიზნის სისრულეში მოყვანას - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნას დაუთმო.

თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რამაც განაპირობა აშშ-ს ამგვარი მიდგომა იყო, არა ის, თუ რა სარგებლის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი ურთიერთობების დამყარება პეკინთან, არამედ შედეგები, რომელსაც ვაშინგტონი მიიღებდა საპირისპირო პოლიტიკური კურსის აღების შემთხვევაში. უფრო ზუსტად, აშშ-ს ხელისუფლებას ძალიან რთულად ესახებოდა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ძალების ჩინეთის წინააღმდეგ გაერთიანება. უფრო მეტიც, ვაშინგტონს არც ევროპის ქვეყნების თავდადების რწმენა ჰქონდა, რადგან, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ევროპულ სახელმწიფოებსაც

თვალი ეჭირათ ჩინეთის მომგებიან ბაზარზე და მისგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელზე (1996). აღნიშნული ფაქტის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ თუ რა დათმობებზე წავიდა ბრიტანეთი ჰონგ კონგთან დაკავშირებით, კერძოდ, ჰონგ-კონგზე სუვერენიტეტის ჩინეთისთვის გადაცემა 156 წლიანი კოლონიზაციის შემდეგ. აშშ-სთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა 40 000 ამერიკელი, რომლებიც ქალაქ-სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და ათასზე მეტი ამერიკული კომპანია, რომელსაც ჰონგ-კონგის მუშახელის 10% ჰყავდა დასაქმებული. ჰონგ-კონგით დაინტერესება მაღალი იყო არამარტო აშშ-ში, რომელსაც 1000-მდე ბრენდი ჰქონდა წარმოდგენილი და 35000-მდე მოქალაქე ჰყავდა ქალაქ-სახელმწიფოში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ბრიტანეთში. როდესაც კონგრესში ცხარე დებატები მიმდინარეობდა ჩინეთისთვის MFN სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, ბრიტანეთი აქტიურად ლობირებდა ამერიკულ ბიზნეს სექტორებს, რომ გადაწყვეტილების სასარგებლოდ დაეჭირათ მხარი. ცხადია ეს შემთხვევითი არ იყო. საუკუნე ნახევარი ჰონგ-კონგი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა და ჩინეთთან დადებული შეთანხმების მიხედვით 1997 წელს მშვიდობიანად უნდა მომხდარიყო ავტონომიური რეგიონის ჩინეთისთვის გადაცემა. ჰონგ-კონგი ბრიტანეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში განუზომლად დიდ როლს თამაშობდა. ყველა მსხვილი ბანკი ბრიტანელების მმართველობის ქვეშ იყო, მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე მასიურად ბრიტანელები იყვნენ დანიშნული, შესაბამისად, დასავლური ქვეყნების ინტერესში შედიოდა ჰონგ-კონგის ავტონომიის და დემოკრატიზაციის საკითხი დაეკავშირებინათ MFN სტატუსთან იმისათვის, რომ ჩინეთს ჰქონოდა მოტივაცია არ დაერღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. მართალია დასავლეთმა მხოლოდ 1991 წელს დაიწყო ზომების გატარება ჰონგ-კონგში დემოკრატიის გასავრცელებლად, მაგრამ ბოლო 7 წლის მანძილზე საკმაოდ დიდი რესურსი ჩაიდო მასში, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოთ ჰონგ-კონგის განსხვავებული იდენტობის შენარჩუნება (Oksenberg, 1997).

რამდენადაც 1997 წლამდე ჰონგ-კონგი დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო, ჩინეთის პროდუქციის 70% საექსპორტო საქონელი სწორედ ჰონგ-კონგის გავლით მიდიოდა აშშ-ში. ამას არაერთი მიზეზი ჰქონდა. ჰონგ-კონგს ადრეული პერიოდიდანვე ჰქონდა ჯერ GATT-ის ხოლო შემდგომ მსო -ს ცალკეული, ჩინეთისგან დამოუკიდებელი წევრობა. რეგიონი ხელსაყრელი იყო ჩინეთის სავაჭრო საქმიანობის განსახორციელებლად მისი გამართული ფინანსური და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის, ეფექტური პორტებისა და და მოწესრიგებული საბანკო სისტემის გამო. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო ჩინური პროდუქციის ხელახალი მარკირება - 'დამზადებულია ჰონგ-კონგში', რაც მეტ ნდობას იწვევდა დასავლურ ქვეყნებში. ჩინეთისთვის MFN სტატუსის გაუქმება კოლონიას მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს მიაყენებდა. უფრო ზუსტად, დიდი ბრიტანეთის გათვლით, 1994 წლისთვის, როდესაც ჰონგ-კონგი ჯერ კიდევ ბრიტანეთის კოლონია იყო, ჩინეთის მიერ სტატუსის დაკარგვა ჰონგ-კონგს, შესაბამისად კი დიდ ბრიტანეთს, ორიდან

სამ მილიარდ დოლარამდე დაუჯდებოდა, რაც 50-დან 70 ათასამდე სამუშაო ადგილის დაკარგვას გამოიწვევდა (Sung, 1997).

გარდა ამისა, 1995 წელს ევროკავშირმა გადაწყვიტა ჩინეთთან დაახლოების მიზნით გრძელვადიანი პოლიტიკური სტრატეგია შეემუშავებინა, რომლის მსგავსიც არასდროს ყოფილა ევროკავშირსა და პეკინში. ზემოხსენებული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთის გაზრდილი როლი მსოფლიოში მნიშვნელოვნად ზრდიდა პეკინის გავლენებს არა მხოლოდ აზიაში, არამედ ევროპის რეგიონშიც (Michalski & Pan, 2015). იგივე მოსაზრებას ეხმიანება რობერტ კაგანის სტატიის *Why the Rush to Favor China?* მთავარი პოსტულატი. კლინტონის განსაკუთრებული მონდომება დაეყოლიებინა კონგრესი ჩინეთისთვის მუდმივი MFN სტატუსის უმოკლეს ვადებში გადაცემასთან დაკავშირებით არაერთ ექვს ბადებდა. რობერტ კაგანმა თავის სტატიაში კლინტონის გადაწყვეტილებას ნაჩქარევი უწოდა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას არაერთი მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ პროცესი ნელა და გონივრულად წარმართულიყო, რადგან ბევრი ფაქტორი იყო გასათვალისწინებელი იქამდე, სანამ აშშ ისეთ მასშტაბურ გადაწყვეტილებას მიიღებდა ჩინეთთან ურთიერთობების დალაგების თვალსაზრისით, როგორიც თავის დროზე აშშ-ს პირველმა პირებმა ჯიმი კარტერმა და რიჩარდ ნიქსონმა მიიღეს. მაგალითისათვის, მაშინ, როდესაც ჩინეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ევროპულ სახელმწიფოებთან აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, აშშ-ს სიჩქარე ევროპის ქვეყნებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა პირობების წაყენებასთან და მომგებიანი შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, ხოლო ჩინეთს კი პირიქით, უპირატესობას აძლევდა მომლაპარაკებელ მხარეებთან, თუმცა, კაგანის მიხედვით, აშშ-ს ადმინისტრაციას აღნიშნული საკითხი ნაკლებად ადარდებდა, რადგან ამერიკული ბიზნესი ნებისმიერ შემთხვევაში სერიოზულ სარგებელს მიიღებდა (Kagan, 2000). ხსენებულ არგუმენტში იკვეთება აშშ-ს მისწრაფება კონკურენცია გაეწია ნებისმიერი აქტორისთვის, მათ შორის ევროპის ქვეყნებისთვის, როდესაც საქმე ეხებოდა ჩინეთის ბაზრის ათვისებას; რადგან ვაშინგტონი სრულად აცნობიერებდა, რომ თუ აშშ აირჩევდა შეკავების პოლიტიკა გაეტარებინა ჩინეთის მიმართ, უკეთეს შემთხვევაში წარუმატებელი შეიძლება ყოფილიყო არჩეული კურსი, უარეს შემთხვევაში კი თავად აღმოჩენილიყო გამიჯნულ პოზიციაში.

ამ მიზნით 1998 წელს, კლინტონი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ჩინეთს. საგულისხმო არის გრიფით საიდუმლო მასალაში რა პრიორიტეტები დასახა კლინტონის ადმინისტრაციამ ჩინეთში განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით. როდესაც ჩანაწერში საუბარი არის სტაფილოებზე, ე.წ. წამახალისებელ გარემოებებზე, ნათელია ის, თუ რამდენად მოწადინებულია ადმინისტრაცია შედეგი დადოს. ჩანაწერში ასევე ჩანს ადმინისტრაციის მოლოდინი ჟუ რონგჯის ახალ პრემიერ მინისტრად არჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეკონომიკის მეფედ არის მოხსენიებული წერილში.

წერილი საყურადღებო არის იმ თვალსაზრისით, რომ აშშ-ს განსაზღვრული აქვს პრიორიტეტების სია, რომელთაგან პირველ ადგილს იკავებს ეკონომიკური საკითხი, კერძოდ ჩინეთთან საბაზრო წვდომა და სავაჭრო დეფიციტის შემცირება. მორიგ პრიორიტეტად დასახელებული არის უფრო დაახლოებული თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში. მხოლოდ ამ ორი საკითხის შემდეგ ჩნდება დღის წესრიგში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი (Clinton Digital Library, 2024).

დოკუმენტში ასევე ხაზგასმული იყო თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა კლინტონის უშუალო ვიზიტს, რომელიც გაამყარებდა ჩინელების ნდობას. გამომდინარე იქიდან, რომ მაღალი ალბათობა იყო აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტი ეროვნულ დონეზე გაეშუქებინათ, ვაშინგტონს ეფექტურად ესახებოდა ამერიკული ღირებულებების ტრანსლაცია ჩინეთში და პირდაპირ ეთერში ამერიკულ დემოკრატიულ ღირებულებებზე საუბარი; აღნიშნული ფაქტი, სულ მცირე, იმის შთაბეჭდილებას მაინც შექმნიდა, რომ ადამიანის უფლებების ნაწილში პროგრესს თუ არა, რეგრესს მაინც არ განიცდიდა ჩინეთი და აშშ-ს მხარდაჭერით გარკვეული ნაბიჯები მაინც იდგმებოდა ამ მიმართულებით (Clinton Digital Library, 2024).

90-იანი წლების დასასრულს განვითარებული აზიის კრიზისიდან გამომდინარე ჩინეთს გარკვეული დრო და რესურსი სჭირდებოდა იმისათვის, რომ გაწევრიანებისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ეზრუნა. 1999 წელზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩინელები, რადგან თვლიდნენ, რომ ჩინეთი უკვე მზად იყო ბაზრის გახსნისთვის ტელეკომუნიკაციების, საბანკო-სადაზღვევო და სამეურნეო სფეროებში, სანაცვლოდ კი იგი იმსახურებდა მსო-ს წევრობას. ასევე აღსანიშნავი არის ისიც, რომ 1999 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გამომდინარე იქიდან, რომ 2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა და პრეზიდენტობის კანდიდატები ერთმანეთთან კონკურენციის დროს უპირატესობის დამტკიცებას იმით შეეცდებოდნენ, თუ რამდენად დიდ შეუვალობას გამოავლენდნენ ჩინეთის მიმართ, რადგან კლინტონის პოლიტიკა აღიქმებოდა, როგორც მეტისმეტად რბილი. შესაბამისად, კლინტონის პრო-ჩინური განწყობებით დროულად სარგებლობა ყველაზე უპრიანი იყო პეკინისთვის.

მას შემდეგ, რაც 1999 წლის 15 ნოემბერს ექვს დღიანი მოლაპარაკებების შემდეგ შარლინ ბარშევსკიმ და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ში გუანგშენმა, ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას ჩინეთისთვის საბაზრო წვდომის მიცემის შესახებ, და გავრცელებული აზრის თანახმად, სწორედ ეს უკანასკნელი ორმხრივი შეთანხმება გახდა ჩინეთის მსო-ში გაწევრიანების საწინდარი (Devereaux, Lawrence,& Watkins. 2006, pp. 241-306), ჩინეთმა უპრეცედენტო რეფორმები გაატარა. რადგან ჩინეთის მსო-ში გაწევრიანების გზაზე „კარიბჭე“ სწორედ ამერიკა იყო, ვაშინგტონს ამ პროცესში მნიშვნელოვანი ბერკეტი ჰქონდა. შეთანხმების და შემდგომში მსო-ს ვალდებულებების შესასრულებლად, ჩინეთმა ვაჭრობის სამინისტროს (მაშინდელი MOFTEC-ის) ფარგლებში შექმნა სპეციალური ორგანო

— „კანონებისა და რეგულაციების გაწმენდის ოფისი“ (Office for the Clean-up of Laws and Regulations). ოფისმა წარმოუდგენელი მასშტაბის რეფორმა გაატარა. საერთო ჯამში, საუბარი არის 3,000-ზე მეტი კანონისა და რეგულაციის გადახედვაზე, მათ შორის დაახლოებით 1,150 — ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, რათა ჩინეთს მსო-ს მოთხოვნები შეესრულებინა. ეს პროცესები ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და, ფაქტობრივად, გახდა ყველაზე დიდი და კონცენტრირებული საკანონმდებლო რეფორმა არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ შესაძლოა მსოფლიოს ისტორიაში (Shaffer, 2021).

თუმცა, აღნიშნული მოლაპარაკება არ გულისხმობდა საბოლოო შედეგის მიღწევას. პრეზიდენტის უმნიშვნელოვანესი როლის მიუხედავად, კონგრესს უნდა მიეღო გადაწყვეტილება ჩინეთისთვის ამერიკასთან მუდმივი ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების სტატუსის (PNTR) მინიჭების შესახებ. ჩინეთის PNTR სტატუსი სენატმა მალევე დაამტკიცა და ძალაში შეიყვანა ბილ კლინტონის პრეზიდენტობის ბოლო თვეს (Devereaux, Lawrence,& Watkins. 2006, pp. 241-306).

4.5. დიდი დებატები კონგრესში

გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო კონგრესის განხილვები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ნაშრომი მნიშვნელოვნად ეფუძნება ისეთ პირველწყაროებს, როგორიც არის აშშ-ს კონგრესის ერთობლივი სხდომები და სესიები, რომელიც სრულად ეძღვნებოდა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, როგორიც ჩინეთის მსო-ში არის გაწევრიანება.

კონგრესში კლინტონისთვის სასურველი ერთიანობა, რომელსაც ასე ესწრაფვოდა პრეზიდენტობის პირველ წლებში, მოკლევადიანი აღმოჩნდა. კონგრესის წარმომადგენლები სამ ჯგუფად შეიძლება კატეგორიზდნენ: MFN სტატუსის ჩინეთისთვის მინიჭების მომხრეები, მოწინააღმდეგეები და მესამე ჯგუფი, რომელიც ხედავდა ჩინეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების გარდაუვალობას, თუმცა არ უჭერდა მხარს გადაწყვეტილების მყისიერ მიღებას და დროის მოგებას ამჯობინებდა იმ საბოლოო პერსპექტივით, რომ ერთ დროს შედეგი მაინც დადგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცხელი დებატების თითოეული არგუმენტი სიღრმისეულია, მხოლოდ რამდენიმე საკვანძო საკითხზე ყურადღების გამახვილებაც საკმარისია ჩინეთის მსო-ში გაწევრიანების პროცესის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარის შეფასებისთვის.

ნენსი პელოსი საკმაოდ ხისტი რიტორიკით წარდგა 1996 წელს გამართულ 104-ე კონგრესზე, სადაც წარმომადგენლობითი პალატის წევრები განიხილავდნენ ჩინეთისთვის უპირატესი სტატუსის მინიჭების საკითხს, და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა აშშ-ს საგარეო პოლიტიკით იმედგაცრუებაზე. იდეის პროპონენტების საპირისპიროდ პელოსიმ ხაზი გაუსვა

კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის დასაქმება, ექსპორტი, ადამიანის უფლებები და სხვა.

პელოსიმ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გონივრულობა იმ გარემოების ფონზე, რომ აშშ-ს ექსპორტის მხოლოდ 2% აღწევდა ჩინეთის საზღვრებში. ის გამოეხმაურა პრეზიდენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ჩინეთთან ვაჭრობის შედეგად 170 000 სამუშაო ადგილი გაჩნდებოდა ამერიკულ ბაზარზე, და აღნიშნა, რომ აღნიშნული რიცხვი არაფერია ათ მილიონ სამუშაო ადგილთან შედარებით, რომელსაც სწორედ ჩინური საქონლის იმპორტით ქმნიდა ამერიკა ჩინეთში. პელოსიმ კონგრესს ზოგადი კონტექსტის გააზრებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნებიც არანაკლებ სამუშაო ადგილს ქმნიდნენ აშშ-ში, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, რომელიც 432 000 სამუშაოდ ადგილის შექმნის წყარო იყო, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ბრიტანეთის სავაჭრო ურთიერთობები ორ მილიარდი დოლარით ჩამოუვარდებოდა სინო-ამერიკულს და სამხრეთ კორეა, რომელიც ქმნიდა 381 000 სამუშაო ადგილს აშშ-ში მაშინ, როცა სავაჭრო ურთიერთობები რვა მილიარდით ნაკლები იყო ვიდრე ჩინეთსა და აშშ-ს შორის. ანალოგიურად, 'იმის სანაცვლოდ, რომ აშშ-ს ექსპორტის 3-ჯერ გაზრდა ჩინეთში წარმატებად მიგვაჩნდეს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩინური საქონლის იმპორტი 11-ჯერ გაიზარდა, რაც კოლოსალურ სავაჭრო დეფიციტს ქმნის', აღნიშნა მან (U.S. Congress, 1996).

პელოსიმ ასევე ყურადღება გაამახვილა მორიგ საფრთხეზე აშშ-ს ეკონომიკისთვის, რომელიც ტექნოლოგიის ტრანსფერს გულისხმობს ჩინეთში. თუ ბოინგ 737-ს ნაწილების დიდი წილი კანზასის შტატის ქალაქ უიჩიტო-ში იწარმოებოდა, ძალიან მალე მათ წარმოებას შაანსის (Xi'an) პროვინციაში დაიწყებდნენ, სადაც მუშა პერსონალის ანაზღაურება 50 დოლარს არ სცდებოდა. აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ჩინელების მიზანი გახდა ამერიკული პროდუქციის ჩინეთში წარმოება და ისეთი ფირმები, როგორც არის General Motors, Ford და სხვა, ძალისხმევას არ იშურებენ ჩინურ ბაზარზე შესასვლელად და ქარხნების დასაარსებლად. აქედან გამომდინარე, ცხადია მათ ენდომებათ MFN სტატუსის გახანგრძლივება, რათა ეს ნაწილები შემდეგ აშშ-ში მისაღები პირობებით შემოეტანათ. პელოსიმ შემდგომ ვაჭრობის საკითხი შეაჯამა და აღნიშნა, რომ ამერიკის ინდუსტრიას საფრთხე ემუქრებოდა, რადგან მათ ჩინეთში ექსპორტზე გაჰქონდათ განვითარებული ტექნოლოგია და მაღალანაზღაურებადი სამუშაო პოზიციები, რაც ჩინეთის იაფ მუშახელს და მოსახლეობის რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, უკვალოდ ნამდვილად არ ჩაივლიდა (U.S. Congress, 1996). პელოსი კატეგორიულად გაემიჯნა მათ, ვინც ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური რეფორმა გამოიწვევდა პოლიტიკურ რეფორმასაც და იქვე დასძინა, რომ ამის არც თავად სჯეროდა და არც კლინტონის კაბინეტს. (U.S. Congress, 1996).

პელოსის არც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი გამორჩენია მხედველობიდან და კონგრესს შეახსენა, რომ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სფეროში პროგრესი საერთოდ არ ჩანდა. მისი თქმით, ჩინეთი ხდებოდა უფრო ავტორიტარული, დისიდენტებს დევნიდა და ჰონგ-კონგისა და ტიბეტის მოქალაქეებს თავისუფლებას უზღუდავდა, რაც აშშ-ისთვის უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო.

პელოსის კრიტიკას ჰამილტონი დაუპირისპირდა. მისი შეფასებით, ჩინეთის დასჯა არაფერს შეცვლიდა - ის მაინც მოახერხებდა ეკონომიკურ ზრდას, ხოლო აშშ-ის ბაზრის გარეშე ჩინეთი მაინც იპოვიდა სხვა პარტნიორებს. მას სჯეროდა, რომ სტატუსის არმინიჭება უფრო დიდ საფრთხეს შექმნიდა, ვიდრე მისი გაგრძელება. (U.S. Congress, 1996).

გრეგ მასტელმა კი ყურადღება გაამახვილა ჩინეთის ხშირ კანონარღვევასა და ინტელექტუალური საკუთრების სისტემურ დარღვევაზე, სადაც ხშირად თავად ჩინეთის ხელისუფლებაც იყო ჩართული. მან აღნიშნა, რომ მსო-ს ჩინეთის კონტროლის იარაღი თითქმის არ ჰქონდა, ხოლო ჩინეთი უკვე იყენებდა თავის ძალაუფლებას ტაივანის გაწევრიანების შესაფერხებლად. მისი შეფასებით, ჩინეთის მსო-ში მიღება გარდაუვალი იყო, მაგრამ აუცილებელი იყო პროცესის გადადება, სანამ ჩინეთი სანდო ეკონომიკურ და სამართლებრივ სტანდარტებს არ დააკმაყოფილებდა.

მასტელმა ასევე მაგალითად მოიყვანა 1994 წლის ტექსტილის შეთანხმება, რომლის დროსაც ჩინეთმა მასშტაბური ტრანსშიპმენტით — პროდუქციის სხვა ქვეყნებიდან წარმოშობილად გასაღებით — მოტყუებით აუარა გვერდი კვოტებს. ამის გამო, მისი შეფასებით, აშშ-ჩინეთის სავაჭრო დეფიციტი ოფიციალურ მონაცემებზე ბევრად დიდი იყო.

გრეგ მასტელმა ასევე ხაზი გაუსვა ჩინეთში იძულებითი და პატიმართა შრომით წარმოებული საქონლის იდენტიფიკაციას, რომლის იმპორტიც აშშ-ში 1930-იანი წლებიდან აკრძალული იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1992 წელს აშშ-მა და ჩინეთმა ამ პრაქტიკის აღსაკვეთად შეთანხმება გააფორმეს, მასტელის თქმით, გამოძიებამ და ფარულმა კადრებმა აჩვენა, რომ ჩინეთი მაინც აგრძელებდა აღნიშნული პროდუქტების წარმოებასა და ექსპორტს. რამდენადაც პროდუქტის იდენტიფიკაცია იყო პრაქტიკულად შეუძლებელი, პრობლემის მასშტაბიც უცნობი რჩებოდა.

მასტელის შეფასებით, ჩინეთთან ხელშეკრულებების გაფორმება იოლი იყო, მაგრამ მათი შესრულება — თითქმის შეუძლებელი. მან აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნებსაც ჰქონდათ ხარვეზები, თუმცა ჩინეთი განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რადგან სისტემურად უჭირდა საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისობაში მოქმედება. მისი მთავარი გზავნილი იყო, რომ აშშ-ს მძიმე ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი, რაშიც იგულისხმა ჩინეთის იძულება, შეესრულებინა ვალდებულებები მაშინ, როცა მსო-ს არ ჰქონდა საკმარისი მექანიზმი

ჩინეთის მასშტაბების მქონე დიდი ქვეყნის საიმედო მონიტორინგისთვის (U.S. Senate Committee on Finance, 2000).

აშშ-ჩინეთის ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტის, რობერტ კაპის თქმით, საკითხი საერთოდ არ იდგა იმაზე, გაწევრიანდებოდა თუ არა ჩინეთი მსო-ში — ეს გარდაუვალი იყო. კაპი ამტკიცებდა, რომ თუ აშშ PNTR-ს არ მიანიჭებდა, ჩინეთი უბრალოდ სხვა ქვეყნებთან დაიწყებდა მოლაპარაკებების წარმოებას, მათ შორის ევროპასა და იაპონიასთან, რომლებიც მარტივად მიიღებდნენ იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაზე აშშ 13 წლის განმავლობაში მუშაობდა. ამიტომ, კაპის აზრით, კონგრესისთვის PNTR-ის მხარდაჭერა იყო აუცილებელი, რათა აშშ არ აღმოჩენილიყო დანარჩენი 133 წევრისგან გარიყული და არ დაეთმო სტრატეგიული უპირატესობები კონკურენტებისთვის. (U.S. Senate Committee on Finance, 2000).

აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლოურენს სამერსმა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აშშ-ს დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ეს მხოლოდ ცალმხრივი პროცესი იქნებოდა, სადაც მხოლოდ ჩინეთს მოუწევდა დათმობებზე წასვლა, ბაზრის უპრეცედენტო დონეზე გახსნა, ხოლო აშშ ჩვეულ რიტმში გააგრძელებდა თანამშრომლობას.

არგუმენტის იგივე ხაზს გაჰყვა შარლენ ბარშევსკი, აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენელი. ჩინეთთან მოლაპარაკებების მთავარმა არქიტექტორმა, ხაზი გაუსვა დიდ ბაზარზე წვდომის შესაძლებლობას და იმას, რომ აშშ-ის კანონი ან პოლიტიკა არ იცვლებოდა.

მან დეტალურად განმარტა, როგორ უზრუნველყოფდა აშშ ჩინეთის ვალდებულებების შესრულებას: ადგილზე მოქმედი სააგენტოებით, ვაშინგტონში მონიტორინგის ჯგუფით, და მსო-ს ყველა წევრის ჩართულობით სპეციალურ განხილვებში. მისი თქმით, შეთანხმება აშშ-სათვის დაბალ რისკსა და მაღალ სარგებელს ნიშნავდა, რადგან ძირეული ცვლილებები მხოლოდ ჩინეთს შეეხებოდა. ამიტომ ბარშევსკი კონგრესს მოუწოდებდა, არ დაეთმო ჩინეთის ბაზრის უპირატესობები კონკურენტებისთვის ევროპასა თუ აზიაში, რადგან ჩინეთის მსო-ში გაწევრიანება ისედაც გარდაუვალი იყო, ხოლო PNTR-ის მინიჭებით ტარიფები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა 2003–2005 წლებში (U.S. House Committee on Ways and Means, 2000).

ალენ რუთერმა, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ამერიკული პროფკავშირის - „ამერიკის საერთაშორისო კავშირი“, გაერთიანებული საავტომობილო, აერონავტიკისა და სოფლის მეურნეობის დანადგარების მუშაკები-ს (UAW) დირექტორი იურიდიულ საკითხებში, ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ჩინეთისთვის PNTR-ის მინიჭების საწინააღმდეგოდ იმ არგუმენტებით, რომ ჩინეთის ბაზრის გახსნა ამერიკული ავტომობილებისა და ავტონაწილების ექსპორტს შეუშლიდა ხელს, გამოიწვევდა

პროდუქციის ჩინეთში გადატანას და სამუშაო ადგილების დაკარგვას აშშ-ში. რუთერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთს უკვე ჰქონდა სარფიანი გარიგებები ამერიკულ კომპანიებთან, რომლებიც მათ აიძულებდნენ ადგილობრივი წარმოება დაეწყოთ. რუთერის მოსაზრებით, აშშ თავად უწყობდა ხელს კონკურენტი კომპანიების დაარსებას, რადგან აღნიშნულ შეთანხმებაშიც არ იყო გათვალისწინებული ისეთი პუნქტი, რომელიც დაავალდებულებდა ჩინეთს ადგილზე წარმოებასთან დაკავშირებით ულტიმატუმი არ წაეყენებინა ამერიკული კომპანიებისთვის. მორიგი გამოწვევა იყო ის ფაქტი, რომ დებულების პირობები მხოლოდ სახელმწიფოს ქმედებებსა და მის მიერ გაკეთებულ დარღვევებზე რეაგირების მექანიზმებს გულისხმობდა და არა კერძო კომპანიების გადაცდომებს. „თუმცა, ჩინური კერძო საწარმოები ნომინალურად არის კერძო, რაც იმას ნიშნავს, რომ ზედაპირზე ისე ჩანს, თითქოს ისინი ამერიკულ კომპანიებს ტექნოლოგიის ტრანსფერით საფრთხეს ვერ შეუქმნიან, თუმცა თუ ამის მიღმა დავინახავთ თუ რამდენად დიდი არის სახელმწიფოს გავლენა მათზე, მაშინ მარტივად გავაკეთებთ დასკვნას იმის შესახებ, რომ ეს მხოლოდ ფასადია და რეალურად, პეკინი განაგრძობს არასამართალზომიერ ქცევას, თუმცა აშშ-ს არ გააჩნია რეაგირების არანაირი ბერკეტი“ (U.S. House Committee on Ways and Means, 2000).

5. დასკვნები

ფაქტობრივად, 1992-1994 წლებში კლინტონმა მისი წინამორბედის, ბუშის პოლიტიკის საპირისპირო კურსი აიღო ჩინეთთან მიმართებით, რადგან ბუშისთვის ჩინეთისადმი კეთილგანწყობილი პოლიტიკა კონგრესთან დაპირისპირების საგანი ხდებოდა. გარდა ამისა, კლინტონსაც არაერთხელ გაუსვამს ხაზი ჩინეთში არსებული რეჟიმის უარყოფით მხარეებზე, რომელიც, მისი აზრით, შორს იყო მაღალი იდეალებისგან, როგორიც არის დემოკრატია, თავისუფლება და სხვ. 1993 წლის აღმასრულებელ ბრძანებაში კლინტონმა კონგრესის ზოგადი დამოკიდებულების და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების განწყობების გათვალისწინებით (ადამიანის უფლებათა დამცველები, პროფკავშირები და სხვ.) ოფიციალურად განაცხადა, რომ მან შეიმუშავა ‘ზმის სტრატეგია’, რომელიც სავაჭრო საკითხებს დააკავშირებდა ადამიანის უფლებების საკითხებთან და სავაჭრო უპირატესობებით სარგებლობისთვის აუცილებელი იყო პროგრესი ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილშიც.

ურუგვაის რაუნდში მონაწილე ქართველ პოლიტიკის მეცნიერ, ბ-ნ ამირან კავაძესთან (რომელიც მსახურობდა როგორც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში; 2004-2006წწ. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში; 2006-2011წწ. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვედეთის სამეფოსა და ფინეთის რესპუბლიკაში) ჩატარებულმა

ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ განაპირობა ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს მსო-ში გაწევრიანების პროცესში. როგორც ბ-ნ ამირანმა აღნიშნა, მარაკემის ხელშეკრულებაში, რომელიც საფუძვლად უდევს მსო-ს შექმნას, ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ წინაპირობებზე. აქედან გამომდინარე, კლინტონმა საკითხის პოლიტიზირება მოახდინა, რაც ცალსახად გულისხმობს იმას, რომ იგი არ ხელმძღვანელობდა მსო-ს სტანდარტებით, არამედ საკუთარი სტრატეგიული ინტერესებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღების წინაპირობები არ გასცდებოდა ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ საკითხებს. ნეოკლასიკური რეალიზმის რელევანტურობაც კარგად ჩანს იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ ის ფაქტი, რომ ლიბერალული მანტრის უკან სტრატეგიული და რეალისტური მისწრაფებები დგას; მეორე მხრივ, ანალიზის მეორე და მესამე დონეების, სახელმწიფო სტრუქტურების და ელიტ პოლიტიკის გავლენა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. საყურადღებოა აღმასრულებელი ბრძანების პირველი ფრაზა, რომელიც იწყება კონგრესისა და ამერიკული საზოგადოების სურვილის გათვალისწინებით, რაც ნათლად მიუთითებს პრეზიდენტის პრიორიტეტებზე.

კლინტონის ხისტ პოლიტიკას ჩინეთის მიმართ ჰყავდა არაერთი უმაღლესი რგოლის მხარდმჭერი, სახელმწიფო მდივანი, ვინსტონ ლორდი, კონგრესის ყველაზე რთულად დასაყოლიებელი, წარმომადგენლობითი პალატის სპიკერი ნენსი პელოსი, რომლის მხარდაჭერა კონგრესის მხარდაჭერას უტოლდებოდა; ასევე პროფკავშირთა წარმომადგენლები და ის ადამიანები, რომლებიც დიდი ქომაგები იყვნენ ტიბეტის მოსახლეობის ბედის. აქედან გამომდინარე, კლინტონის პირველი პოლიტიკური განაცხადი სრულიად შეესაბამება ლობელის თეზისს, რომლის თანახმად, საგარეო პოლიტიკა შიდა პოლიტიკით არის ხოლმე პროვოცირებული.

1994-1996 წლებში საინტერესო ცვლილებები ხდება აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში. 1993 წლის აღმასრულებელმა ბრძანებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თუ 1993 წელს გაკეთებული განცხადების გაკეთების დროს პოლიტიკური ელიტის ის ნაწილი, რომლის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა ჩინეთისთვის მკაცრი ულტიმატუმების წაყენება, სხვა საკითხებით იყვნენ დაკავებული, მაგ: რონ ბრაუნი და რობერტ რუბინი. ახალი გადაწყვეტილების რადიკალურმა ხასიათმა ყველას ყურადღება გაამახვილა ჩინეთის სავაჭრო სტატუსზე. მოხდა ის, რასაც ლობელი თავის თეორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად ასახელებს ქვეყნის ლიდერისთვის - შიდა დაპირისპირება ინტერესთა ჯგუფებს შორის. ბიზნეს საზოგადოებამ გაცილებით მეტად იაქტიურა ვიდრე სხვა ჯგუფებმა. ლობელის არგუმენტის მსგავსად, როდესაც აშშ-ს ბიზნეს სექტორებმა გაიაზრეს რამდენად დიდი ეკონომიკური სარგებელი შეიძლებოდათ მიეღოთ ჩინეთის დიდი ბაზრისგან, არც სხვა ინტერესთა ჯგუფის პოზიციები გაითვალისწინეს და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიც

უგულებელყვეს. ლობელის თეზისი ზუსტად ხსნის შიდა განხეთქილების ზეგავლენას პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე. კლინტონს უწევს უკან წაიღოს თავისი სიტყვები და სულ რაღაც ერთ წელიწადში საპირისპირო რიტორიკით წარსდგეს საზოგადოების წინაშე. თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში - *My Life*, ჩინეთის მსო-ში ინტეგრაციაზე საუბარს კლინტონი სწორედ 1994 წლის გახსენებით იწყებს, როდესაც მას, არაერთი გამოწვევის ფონზე უნდა მიეღო ქვეყნისთვის კრიტიკული გადაწყვეტილება ჩინეთისთვის MFN სტატუსის გახანგრძლივების შესახებ. ერთ-ერთ გამოწვევად კი აშშ-ს პრეზიდენტი ასახელებს 1993 წელს გამოცემულ აღმასრულებელ ბრძანებას, სადაც მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილში პროგრესის გარეშე ჩინეთი ვერ მიიღებდა MFN სტატუსს. კლინტონი წერს, რომ თუ იგი სიტყვას არ შეასრულებდა, მისი პოლიტიკა დაემსგავსებოდა ბუმის პოლიტიკას, რასაც თავად ხშირად აკრიტიკებდა ხოლმე. თუმცა, კლინტონის თქმით, მაისისთვის მას ჰქონდა უორენ კრისტოფერის ანგარიში, სადაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი იტყობინებოდა, რომ ემიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები აღმოფხვრილი იყო, ხოლო პატიმრების შრომით წარმოებული პროდუქციის აკრძალვასთან დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი აშშ-მა და ჩინეთმა. იგი ასევე იუწყებოდა, რომ ჩინეთმა ისტორიულად პირველად განაცხადა თანხმობა ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის პრინციპების დაცვაზე. მაგრამ კლინტონი ასევე ამბობს, რომ კრისტოფერი ჯერ კიდევ არაერთ გამოწვევას ხედავდა ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით, მათ შორის ულმობელი მოპყრობა დისიდენტებთან, ტიბეტის მოქალაქეებთან და სხვა. კლინტონმა გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი, ასევე ჩინეთის თავისებურება უფრთხოდეს გარე ჩარევებს და, როგორც თავად აღნიშნავს ნაშრომში, ეკონომიკის მრჩეველების მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება ადამიანის უფლებების საკითხი წინაპირობად არ წაეყენებინა ჩინეთისთვის MFN სტატუსის მისაღებად. კონსერვატორების და ლიბერალების წინააღმდეგობის მიუხედავად აშშ-მა გადაწყვეტილება ჩინეთის სასარგებლოდ მიიღო, კლინტონის პირადი მხარდაჭერით, რომელმაც დალაი ლამა და მარტინ ლიი (ჰონგ-კონგის დემოკრატი აქტივისტი) მოიწვია, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ჩინეთისთვის MFN სტატუსის გახანგრძლივებას (Clinton, 2004). თუმცა, თუკი მხედველობაში მივიღებთ უორენ კრისტოფერის მემუარს - *Chances of a Lifetime*, კრისტოფერი უფრო აღშფოთებას გამოხატავს ჩინეთში არსებული მდგომარეობით, ვიდრე კმაყოფილებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შიდა პოლიტიკური ზეწოლიდან გამომდინარე პრეზიდენტი იძულებული გახდა საკუთარი გადაწყვეტილება უკან წაეღო და ნებისმიერ ფასად გამართლება მოეძებნა ისე, რომ მისი რეპუტაცია არ შელახულიყო (Christopher, 2001). თუმცა, მეორე ბანაკი, სადაც პროფკავშირები, ადამიანის უფლებათა დამცველები და სხვა ჯგუფები ერთიანდებოდნენ, არანაკლებ გამოთქვამდნენ თავიანთ იმედგაცრუებას, განსაკუთრებით კი სპიკერი ნენსი პელოსი. სწორედ ამას გულისხმობს ლობელი, როდესაც ამბობს, რომ შიდა პოლიტიკური ეიფორია ლიდერს ხელს უშლის რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში, რის

საფუძველზეც მისი პოლიტიკა არათანმიმდევრული და უსასრულოდ გაჭიანურებული ჩანს. მართლაც, ლამპტონი ცალსახად აღნიშნავს, რომ აშშ-ს მოცემული დროისთვის მეტად მერყევი პოლიტიკა ჰქონდა ჩინეთის მიმართ, რაც ერთი მხრივ, განპირობებული იყო სახელმწიფოებრივი ერთეულების ზეწოლით, მეორე მხრივ, კი ლიდერის ფსიქოლოგიით, რომელიც საკმაოდ მოწყვლადი აღმოჩნდა კონგრესის წარმომადგენლების მიმართ.

300-მდე კომპანიისგან და 40-მდე სავაჭრო ასოციაციისგან მიღებული წერილები მკაცრი მოთხოვნით - არ დაეკავშირებინათ ადამიანის უფლებები MFN სტატუსთან; ევროპული სახელმწიფოების სიჩუმე და მათ მიერ ინდივიდუალური გზებით ჩინეთთან დაახლოების და ჩინეთის ბაზრით უპირატესობების მიღება; ჩინეთის ხელისუფლების მიერ ცნობილი დისიდენტების მასიური დაპატიმრება და სხვ. ეს მცირე ჩამონათვალი არის იმისა, თუ რა შედეგები მოყვა 1993 წლის აღმასრულებელ ბრძანებას. როდესაც აშშ-მა ჩინეთს საპასუხოდ სანქციები დაუწესა მაღალტექნოლოგიურ საქონელზე, ქვეყნის შიგნით სახელმწიფო თავდაცვის დეპარტამენტმა და ბიზნეს საზოგადოებამ ხმა აიმაღლეს და პრეზიდენტი ადამიანის უფლებადამცველებთან მიკერძოებაში დაადანაშაულეს, თითქოს ადამიანის უფლებები ქვეყნის ეროვნულ და ეკონომიკურ მიზნებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ახლა შიდა პოლიტიკური ელიტის მეორე, დაჩაგრული ფლანგი გააქტიურდა და მდგომარეობა ძალიან სწრაფად სათავისოდ გადასწონა. თუმცა, ნაცლად ლიბერალური მიზნებისა, თავი იჩინა რეალიზმისთვის დამახასიათებელმა მოტივებმა. ალტერნატივის არარსებობამ, და არა კეთილმა ნებამ, აიძულა კლინტონი თვალი დაეხუჭა ჩინეთში ადამიანის უფლებების მკაცრ დარღვევებზე და კვლავ გაეხანგრძლივებინა MFN სტატუსი ჩინეთისთვის.

1994 წელს გადაწყვეტილების შეცვლა კლინტონმა ისევ ლიბერალური მანტიით გადაფარა, განაცხადა რა, რომ ჩინეთის პროგრესირება იზოლაციის შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა და უფრო სწორი იქნებოდა მისი ინტეგრაცია საერთაშორისო საზოგადოებაში. მაშასადამე, ამ ეტაპზე უკვე სისტემურ სიგნალებს გამოეპასუხა აშშ-ს პრეზიდენტი, თუმცა ისიც გასათვალისწინებელი არის, რომ კონგრესსაც გარკვეულმა გარემოებებმა შეუცვალა აზრი და MFN-ის განახლებას ისინი თითქოს დამახასიათებელი კატეგორიულობით არ ეწინააღმდეგებოდნენ, რაც 1994 წლის შუალედურმა არჩევნებმა განაპირობა, სადაც რესპუბლიკელები უმრავლესობით მოვიდნენ. ჩინეთის ყველაზე დიდი ოპონენტები კი დემოკრატთა რიგებში იყვნენ, რომლებიც ამჟამად უმცირესობაში იყვნენ. შესაბამისად კლინტონის რადიკალური გადაწყვეტილება გარკვეულწილად კვლავ საშინაო პოლიტიკის გამოძახილი იყო.

კლინტონის პრეზიდენტობის მესამე ფაზა, 1998-2000 წლები განსაკუთრებულად პროდუქტიული იყო სინო-ამერიკული ურთიერთობებისთვის. აშშ-ს პირველი პირის მხრიდან იმდენად დიდი იყო მზაობა სრული მხარდაჭერა გამოეცხადებინა ჩინეთის მსო-ში გაწევრიანებისთვის, რომ, რომ არა არაერთი გამოწვევა, პროცესი კიდევ უფრო სწრაფად

წარმართებოდა. გამოწვევებში იგულისხმება 1996 წლის არჩევნებში ჩინეთის კლინტონის სასარგებლოდ ჩარევის შესახებ ბრალდებები, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, რადგან კლინტონს უწევდა მისთვის წაყენებული ბრალდებები ჩინეთის ხელისუფლებასთან ზომიერი, დაბალანსებული ქცევით გაებათილებინა; 1997-1998 წლებში აზიის კრისიზი მორიგ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან კრისიზმა ჩინეთის მცდელობა, რაც შეიძლება მალე დაეკმაყოფილებინა მსოს-ს სტანდარტები, დროში გააჭიანურა; გარდა ამისა ადამიანის უფლებადამცველთა და პროფკავშირების მხრიდან წინააღმდეგობა არ დამცხრალა; მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, ჩინეთის ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი ახალ ფაზაში გადავიდა, რასაც მოწმობს კლინტონის მიერ გადადგმული ნაბიჯები. მისი „სამი არას“ პრინციპი იყო ყველაზე ხისტი დამოკიდებულება, რაც კი აშშ-ს პირველ პირს გამოუვლენია ტაივანის მიმართ აშშ-ს ოთხი ადმინისტრაციის მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი წინამორბედები, ნიქსონი, კარტერი, რეიგანი და ბუში ცდილობდნენ პეკინთან ურთიერთობის დაბალანსებას, არცერთ მათგანს არ გამოუხატავს ასე გაცხადებულად თავიანთი დამოკიდებულება და აშკარა გადახრა ჩინეთის მხარეს. კლინტონის მონდომებაზე მიუთითებს რობერტ კაგანიც, რომელიც თავის სტატიაში ხაზგასმით ამბობს, რომ კლინტონის დაჩქარებული ტემპი ევროპულ სახელმწიფოებს სარფიანი გარიგების წარმოების შესაძლებლობას აკარგვინებდა. კაგანი აღნიშნავდა, რომ კლინტონი უგულებელყოფდა ევროპული ქვეყნების ინტერესებს, მაგრამ, მეორე მხრივ, აშშ-ს ინტერესსაც შეადგენდა ევროპა განსაკუთრებულად არ დაკავშირებოდა ჩინეთს. აღნიშნული ფაქტიც რეალიზმის სკოლისთვის დამახასიათებელ სტრატეგიულ კალკულაციებს ასაბუთებს. აქედან გამომდინარე არსებობდა ნეოლიბერალური მანტრა ნეორეალისტური მოტივებით.

რას გულისხმობს ნეოლიბერალური მანტრა? აშშ-მ ჩინეთის მსო-ში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა მიუხედავად იმისა, რომ:

- ადამიანის უფლებების ნაწილს სერიოზულად არ ეკიდებოდნენ, რაც კარგად გამოჩნდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნისთვის ნათქვამ სიტყვებში, როდესაც კრისტოფერს განუცხადეს, რომ ამდენი ადამიანის გამოკვება უკვე ნიშნავდა იმას, რომ მათი ძირითადი უფლებები დაცული იყო.
- ჩინეთი ყოველწლიურად უფრო და უფრო აქტიურად არღვევდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებებს.
- პეკინს 1992 წლის შეთხზმების მიუხედავად პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა ჰქონდა.
- ჩინეთში კვლავ მიმდინარეობდა პატიმრების შრომით წარმოებული ნაწარმის აშშ-ში ექსპორტირება.

- შეთანხმება არ ითვალისწინებდა გარანტიებს ამერიკული მუშახელის დასაცავად.
- სინო-ამერიკული სავაჭრო შეთანხმება წაახალისებდა აშშ-ს კონკურენტი კომპანიების შექმნას.
- სავაჭრო შეთანხმების შეზღუდვები არ ვრცელდებოდა ჩინეთის კერძო საწარმოებზე, რომლებიც ნომინალურად კერძო, ხოლო რეალურად სახელმწიფო დაქვემდებარებაში იყო.

რაც ნიშნავს იმას, რომ კლინტონის ადმინისტრაციამ ბევრ ისეთ გარემოებაზე დახუჭა თვალი, რაც, სხვა შემთხვევაში, შესაძლოა სერიოზული ბარიერი ყოფილიყო ქვეყნის გაწევრიანების პროცესში. ბილ კლინტონის ჩინეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ ოფიციალურ სიტყვაში, სადაც კარგად ჩანს ადმინისტრაციის მოლოდინები და მიზნები, რომელზე დაყრდნობით აშშ-მ ჩინეთისთვის მსო-ს კარის გაღება გონივრულად ჩათვალა, კარგად იკითხება ვაშინგტონის პოლიტიკის განმსაზღვრელი მოტივები. „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭების წინააღმდეგ ხმის მიცემა ამერიკას ძვირად დაუჯდება, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სამუშაო ადგილების დაკარგვაში აშშ-ში, რადგან ჩვენი კონკურენტები ევროპაში, აზიაში და ნებისმიერ სხვა წერტილში, ჩვენგან განსხვავებით, მაქსიმალურად ისარგებლებენ ჩინური ბაზრებისგან“ განაცხადა კლინტონმა (Full Text of Clinton’s Speech on China Trade Bill).

კლინტონმა აღნიშნა, რომ ძლიერი ჩინეთის ნაცვლად ამერიკას და მსოფლოს გაცილებით მეტად უნდა ეშინოდეს სუსტი ჩინეთის. „საბედნიეროდ, ჩინეთმა აირჩია რეფორმის გზა, აირჩია გადალახოს ექვსი და უიმედობის დიდი კედელი და აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო საკითხებში დანარჩენ ქვეყნებთან ერთად“ (Full Text of Clinton’s Speech on China Trade Bill). შესაბამისად, კლინტონი ჩინეთისთვის ზურგის შექცევას ისტორიულ შეცდომად თვლიდა. მისი აზრით, გაწევრიანების შედეგად ჩინეთი თანხმობას განაცხადებდა არამართო საქონლის იმპორტზე აშშ-დან, არამედ ის გაიზიარებდა დემოკრატიის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ასპექტს - თავისუფალ ეკონომიკას. „სამუშაო ძალა უკვე ტოვებს ჩინურ კომპანიებს, გაწევრიანების შემდეგ კი უფრო მასიურად დატოვებენ და ჩინეთი აღარ მოეწონება მოსახლეობას როგორც დასაქმების ერთადერთი წყარო, არამედ ნაკლები ბერკეტი ექნება ხალხის ცხოვრების გასაკონტროლებლად; და, როგორც ერლ ვორენმა ერთხელ აღნიშნა, თავისუფლება ყველაზე გადამდები ძალა არის მსოფლიოში (Full Text of Clinton’s Speech on China Trade Bill).

მამასადამე, აშშ-ს პოლიტიკა ჩინეთის მიმართ 90-იან წლებში მიზნად ისახავდა შემდეგი სტრატეგიული მიზნების განხორციელებას:

- მეტოქე ქვეყნებისთვის (ევროპის ქვეყნები, იაპონია და სხვ.) ჩინეთის ბაზრის უპირატესი პირობებით სარგებლობისა და აშშ-სთვის კონკურენციის გაწევის ალბათობის შემცირება;
- ჩინეთზე გავლენის მოხდენა მასზე შეზღუდვებისა და ვალდებულებების თავზე მოხვევით აშშ-ს მიერ დომინირებულ საერთაშორისო ორგანიზაციაში;
- ჩინურ ბაზარზე წვდომით აშშ-ს ეკონომიკური პირველობის შენარჩუნება;
- ჩინეთის ბაზარზე დამოკიდებული, განსაკუთრებულად მოწყვლადი შტატების ინტერესების გატარება;
- ჰონგ-კონგსა და ტაივანში სტაბილური პოლიტიკური კლიმატის შესანარჩუნება;
- ჩინეთის მიერ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბება/გაწევრიანებისკენ სწრაფვის სტიმულის ჩახშობა.

1990-იან წლებში მიმდინარე კონგრესის სხდომებზე, სადაც აქტიური და წინააღმდეგობრივი დისკუსია მიმდინარეობდა PNTR-ის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, მომხრეები (კაპი, სამერსი, ბარშეესკი) ხაზს უსვამდნენ, რომ ჩინეთის მსო-ში გაწევრიანება გარდაუვალი იყო და PNTR აშშ-ს სტრატეგიულ უპირატესობას მისცემდა, ტარიფებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა და ბაზარზე წვდომას გაუზრდიდა, და ეს ყველაფერი მოხდებოდა ისე, რომ ერთი მუხლიც კი არ შეიცვლებოდა ამერიკულ კანონმდებლობასა და რეგულაციებში; ხოლო მოწინააღმდეგეები (პელოსი, რუთერი, მასტელი) მოითხოვდნენ გონივრულობას, ხაზს უსვამდნენ ამერიკული სამუშაო ადგილების დაკარგვისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის საფრთხეს, ადამიანის უფლებების დარღვევებს და ჩინეთის სისტემურ არასრულ მონიტორინგს. საბოლოოდ, დებატები მათ სასარგებლოდ გადაწყდა, ვინც ჩინეთთან ეკონომიკურ დაახლოებას ესწრაფვოდა იმ დიდი ლობისტური ძალის წყალობით, რომელიც ბიზნეს სექტორებმა შეძლეს ჩინეთთან მოლაპარაკებით. აქედან გამომდინარე, ზემოჩამოთვლილი რისკების თავიდან არიდების, უფრო ზუსტად კი, უალტერნატივო მდგომარეობის გამო, რამდენადაც ჩინეთი ადრე თუ გვიან მაინც მოახერხებდა მსო-ში გაწევრიანებას, აშშ-მა ჩინეთის მსო-ში ინტეგრაციას დაუჭირა მხარი და არა მის იზოლაციას.

ქართულ აკადემიურ სივრცეში, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, არ მოიპოვება სინო-ამერიკული ურთიერთობების შესახებ საკითხის ამგვარად დასმის ანალოგი და ფორმულირება. მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი პირველად არის წარმოჩენილი როგორც აშშ-ის შიდა პოლიტიკით ნაკარნახევი ინსტრუმენტი და არა როგორც სტანდარტული ინსტიტუციური მოთხოვნა. კვლევითი საგნის კომპლექსურობამ რამდენიმე თეორიის კომბინაციის საჭიროება შექმნა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციის ნეოლიბერალური განცხადებები ნეორეალისტური სტრატეგიული გათვლის ინსტრუმენტს წარმოადგენდა და მხოლოდ გეოეკონომიკური ლიდერობისკენ იყო

მიმართული, რაც კონცეპტუალურ სიახლეს წარმოადგენს. გარდა ამისა, კვლევაში ემპირიულად დასტურდება ლობელის თეორიის ძირითადი თეზისები სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებსა და ქვეყნის პირველი პირის ურთიერთმიმართებაზე. ამგვარად, ნეოკლასიკური რეალიზმი ემპირიულად ადასტურებს, რომ აშშ-ის მიდგომა, რომლის ფარგლებში მან აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადა ჩინეთის მსოფლიოს უდიდეს სავაჭრო გაერთიანებაში გაწევრიანებას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას განიხილავდა როგორც ძალაუფლების გადანაწილების არაპირდაპირ საშუალებას.

ბიბლიოგრაფია

1. Bacchus, J. (2023, September 26). The World Trade Organization: Myths versus reality. Cato Institute.
2. Christopher, W. (2001). *Chances of a lifetime: A memoir*. Scribner.
3. Clinton, B. (2004). *My life*. Knopf Publishing Group.
4. Clinton Digital Library. (2024). Declassified documents concerning President William J. Clinton's June 1998 trip to China.
5. Cole, D. (2018, June 30). China's Arctic plans represent a new way of looking at world. *Arctic Today*.
6. Congressional Quarterly. (1995). Congress lets renewal of China's most-favored-nation (MFN) status stand. In *CQ Almanac 1994* (50th ed., pp. 137–138). Congressional Quarterly.
7. Council on Foreign Relations. (2025). What happened when China joined the WTO.
8. Devereaux, C., Lawrence, R. Z., & Watkins, M. D. (2006). *Case studies in US trade negotiations* (Vol. 1). Columbia University Press.
9. Feng, H. (2017). *The politics of China's accession to the World Trade Organization*. Routledge.
10. Foulkes, P. (1996). Review of Hayek's *Social and political thought*, by R. Kley. *Philosophy*, 71(277), 473–475. doi:10.1017/S0031819100041735
11. Gilpin, R., & Gilpin, J. M. (2001). *Global political economy: Understanding the international economic order*. Princeton University Press.
12. Jackson, I., & Xidias, J. (2017). *An analysis of Francis Fukuyama's The end of history and the last man*. Routledge.
13. Ikenberry, G. J. (2001). *After victory: Institutions, strategic restraint, and the rebuilding of order after major wars*. Princeton University Press.
14. Kagan, R. (2000, March 20). Why the rush to favor China? *The Weekly Standard*. Reprinted by Carnegie Endowment for International Peace.
15. Kennedy, S., & O'Hanlon, M. (1996). Time to shift gears on China policy. *The Journal of East Asian Affairs*, 10(1), 45–73.
16. Kokai, M. (2019, January 31). Chinese ready for ideological battle with free-market capitalism. John Locke Foundation.
17. Lai, H. H. (2001). Behind China's World Trade Organization agreement with the USA. *Third World Quarterly*, 22(2), 237–255. doi: 10.1080/01436590120037054
18. Lampton, D. M. (1994). America's China policy in the age of the Finance Minister: Clinton ends linkage. *The China Quarterly*, 139, 597–621.
19. Lampton, D. M. (1997). China and Clinton's America: Have they learned anything? *Asian Survey*, 37(12), 1099–1118. doi: 10.2307/2645760.

20. Lardy, N. R. (2002). *Integrating China into the global economy*. Brookings Institution Press.
21. Lobell, S. E. (2009). Threat assessment, the state, and foreign policy: A neoclassical realist model. In S. E. Lobell, N. M. Ripsman, & J. W. Taliaferro (Eds.), *Neoclassical realism, the state, and foreign policy* (pp. 42–74). Cambridge University Press. doi: 10.1017/CBO9780511811868.007
22. Mann, J. (1999). *About face: A history of America's curious relationship with China, from Nixon to Clinton*. Alfred A. Knopf.
23. Michalski, A., & Pan, Z. (2015). *The EU–China strategic partnership: Challenges and prospects in a changing world* (2015:6). Swedish Institute for European Policy Studies.
24. Miller Center. (2025). October 11, 1992: Debate with Bill Clinton and Ross Perot.
25. Rose, G. (1998). Neoclassical realism and theories of foreign policy. *World Politics*, 51(1), 144–172. doi: 10.1017/S0043887100007814
26. Saunders, P. C. (1995). Most-favored-nations-status and China: An economic analysis of linkage. *Journal of Public and International Affairs*, 6.
27. Shaw, R. K. (2001). *The politics of American China policy: The Clinton administration's China policy during its first term of office* (PhD dissertation). University of Birmingham.
28. Singer, J. D. (1961). The level-of-analysis problem in international relations. *World Politics*, 14(1), 77–92. doi: 10.2307/2009557
29. Sing, Y. (1986). The role of Hong Kong in China's export drive. *The Australian Journal of Chinese Affairs*, 15, 83–101. doi: 10.2307/2158873
30. Sutter, R. G. (1998). *U.S. policy toward China: An introduction to the role of interest groups*. Rowman & Littlefield Publishers.
31. U.S. Congress. House of Representatives. (1996). *Congressional Record*, 104th Cong., 2nd sess., June 27, 1996 (Vol. 142, pt. 1, p. H6987).
32. U.S. House of Representatives. Committee on Ways and Means. (2001). *Accession of China to the WTO: Hearing before the Committee on Ways and Means, House of Representatives, One Hundred Sixth Congress, Second Session, May 3, 2000* (Serial No. 106–105). U.S. Government Printing Office.
33. U.S. President. (1993). *Executive Order 12850: Conditions for renewal of most-favored-nation status for the People's Republic of China in 1994*. *Federal Register*, 58(103), 31327.
34. United States. Congress. Senate. Committee on Finance. (2000). *China's accession to the WTO: Hearing before the Committee on Finance, United States Senate, One Hundred Sixth Congress, Second Session, March 23, 2000* (S. Hrg. 106–862). U.S. Government Printing Office.
35. World Trade Organization. (2013). *The history and future of the World Trade Organization: Accessions*. World Trade Organization.